ქართველი ერი

ალმანახი № 2.

შინაარსი: მეთაური.—ირაკლის გოდება, **ა. შანშიაშვილისა.**—ფრანსისკო ფერერერ ი გვარდია, B.—ჩეზარე ლომბრაზო, B.—მთის არწივი შამილი, **ა. ფრონელისა.**—ვისი ბრალია? **ცქვიტისა.**—მეგობრებს, ლექსი **ი. გრიშაშვილისა.**—ლექსი, **ი. მჭედლიშვილისა.**—მელია-სერეჟენია, **ვაჟა-ფშაველასი.**—თეატრი, B.—ერის უფლება, Bâton-**ისა.**

18 ოქტომბერი 1909 წ.

ტფილისი, 18 ოქტომბერი.

დასრულდა საერობო კრებები 13 ოქტომბერს. ბევრი ილაპარაკეს და ბევრი იკამათეს ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა ერთა წარმომადგენლებმა, რაც შეიძლებოდა დემოკრატიული პროგრამმა შეიმუშავეს, მაგრამ საქმე ის არის,—როგორ შეხედავს სათათბირო ამ პროექტებსა და როგორ აღასრულებს მთავრობა ჩვენი ხალხის სურვილებს.

არას ვიტყვით საზოგადოდ კრებებზედ წარმოთქმულ ბევრი ისეთი აზრის შესახებ, რომელიც განცვიფრებაში მოიყვანს ადამიანს, თუ მას ცოტად თუ ბევრად გაეგება ყველა ის საზოგადოებრივი და მეცნიერული საკითხები, რომელიც წამოყენებული იყო საერობო ბჭობის დროსა. მაგალითად, ბ. ხატისოვის პოლიტიკური ეკონომია ისეთია, რომ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის ზოგიერთ ჩათლახ ეკონომისტთა მეცნიერებიდან თუ ამოკრიფა პატივცემულმა ხატისოვმა ის პრინციპები, რომლითაც იგი საზოგადოებას გაუმასპინძლდა, თორემ ნამდვილ, განვითარებულ მეცნიერებაში მსგავსს ვერას ნახავდა!—ბასტიას აზრი—საურთი-ერთო სამსახური: აი პოლიტიკური ეკონომიაო,—ეს იყო ბატონი ხატისოვის ეკონომიური მეცნიერებაც და ამაზედ ამყარებდა ქალაქის გამოყოფის საჭიროებას და სამართლიანობას სამაზრო ერობიდან. ის რთული განწყობილობანი კი, რომელნიც არსებობენ ქალაქთა და სოფელთა შორის,—განსაკუთრებით იმ ქალაქთა, სადაც უმთავრესად საჩარჩო და სავაჭრო კაპიტალი ბატონობს და ამით სოფელი განიცდის უსახღვრო და ტლანქ ექსპლოატაციას ქალაქისგან,—ზედ მეტი ღირებულების პირველ-ყოფილის წესით ართმევას ქალაქის მიერ,—ეს არ არსებობს ბატონ ხატისოვისათვის და გაიძახის,—თბილისს ვისი რა მართებსო! თბილისი ჰყიდულობს, ჰყიდის, მაშასადამე აქ გაცვლა-გამოცვლაა ექვივალენტებისაო, მაშასადამე ჩვენ შორის ანგარიში სწორიაო! ტიპიური და მშრალი ბურჟუაზიული მსჯელობა ამაზედ ნათლად ვერ გამოიხატება!.. არას ვიტყვით აგრეთვე ბ. ხატისოვის განცხადებაზედ—საფრანგეთში მცხოვრებთა $^2/_3$ ქალაქებში სცხოვრობსო, მაშინ როდესაც საფრანგეთში მცხოვრებთა 60% მეტე სოფლებშია!.. არას ვიტყვით არც სხვების კიდევ უფრო დიდებულ სიბრძნეზედ. ერთად-ერთი სერიოზული მოხსენება ბ. ფ. გოგიჩაიშვილმა წაიკითხა, სადაც მან უტყუარი საბუთებით დაამტკიცა, რომ კავკასია გაცილებით მეტს შემოსავალს აძლევს რუსეთის ხაზინას, ვიდრე მას ხარჯი მოსდის კავკასიაზედ,—14 მილიონზედ მეტს. ეს იყო პასუხი იმ ვაჟბატონებისადმი, რომელნიც გაიძახიან—კავკასიელები რუსის მუჟიკის ხარჯით იკვებებაო! საკვირველია,—ყვავს რა აქვს და კაჭკაჭს რა უნდა მისცეს!

მიუხედავად ყოველივე ამისა შედეგი მსჯელობისა მაინც საინტერესო იყო. გლეხებმაც დაიცვეს თავიანთი ინტერესები მიუხედავად „გამოცდილ კაცთა“ განცხადებისა,—ვლეხებს არა აქვსთ უნარი თავიანთ საქმეებს თვითონ მოუარონო; მიღებულ იქმნა მცირე საერობო ერთეული. ფინანსიური მხრითაც გლეხთა ანგარიშით დაბრკოლებას არ წარმოადგენს მცირე საერობო ერთეული. დასტოვეს თბილისი როგორც საგუბერნიო ერობაში, ისე სამაზროში. შეზღუდეს ქალაქის წარმომადგენლობა, რომ მეტი უფლება დაეტოვებინათ სოფლებისათვის მაზრაში თავიანთ საქმეთა მოსაწესრიგებლად, და სხვ. ერთი სიტყვით, რაც შეიძლება სამართლიანად, პირობათა და ზომიერების მიხედვით დემოკრატიულად შეიმუშავეს საერობო პროექტი.

მაგრამ რას იტყვიან იქ, სადაც სწყდება საბოლოოდ ჩვენი მომავალი ერობის ბედ-იღბალი,—აი რა გვაფიქრებს. იქნებ „სახელმწიფო იდეის“ გასაძლიერებლად ისეთი „ერობა“ მოგვახვიეს თავზედ, პოლონეთის ქალაქებში აპირებს პრემიერ მინისტრი სტოლიპინი და დაუფარავად აცხადებს თავის მიზნებს, რაიცა მაინცა და მაინც არ არის „სახელმწიფო კაცის“ კარგი დამახასიათებელი. იქნებ რუსთა უმცირესობის ბატონობა განახორციელონ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ პრინციპი უმცირესო-

ბის განსაკუთრებულ უპირატესობისა უარ-ვყავით;— მაშინ ერთ უცხოთა ორგანიზაციას მეორე უცხოთავე ორგანიზაცია მიემატება და ორივე ჩვენ დაგვაწვება კისერზედ. აბა მაშინ გამართლდება რუსული ანდაზა,—„ცეცხლიდან ალში“ო.

მომავალი გვაჩვენებს, რა ბედი მოელის ჩვენს პროექტებს და ტყვილა დავხარჯეთ თუ არა კრებებზედ ამდენი „მეცნიერება“ და „ორატორობის“ ტყვია-წამალი...

ირაკლის ოდება.

ვხედავ ირაკლის, ბატარა კახს, მთაზედ გადმოდგარს,
რომ გადაჰყურებს კრწანისის ველს უდროდ დამწკარს.
მას გმირს, დიმგულსა ბუნების ალი სულსა უხუთავს,
შეწუხებული, ნადვილანი ჰგოდებს და მოსთქვამს:
—„ველო ბედკრულო, სისხლით მორწყულო!
შენს მიდამოზედ ქართველნი ჰრბოდნენ;
მამულისთვის თავდადებულნი
მტერს შემოსეულს მედგრად ებრძოდნენ.
აქვე მარჯვენამ
ჩვენ წინაპართა
თავისუფლების
დროშა აღმართა
და ჰნეტარებდა
მშობელი ერი,
სანამ არ აღსდგა
მასზედ სხვა მტერი.
და აგერ, დღესაც უდვოთნი ვლენან,
შეუმწიკვლიათ მადი-მშვენება;
ნუ თუ მე ამას განვუმზადები,
რომ ქართველის სისხლი კვლავ მტკვარს ერთვების?
ვაი სამშობლოვ, მტრისგან თელილო,
მზაკვარმაც შენზედ ესა ალახო;
დანო, ქალწულნო, მანდილ ახდილნო,
უცხომ დიდება თქვენი დაანგრიოს!

ა. შანშიაშვილი.

ფრანსისკო ფერერი ი გვარდია.

ამას წინედ ისპანიაში საშინელი დანაშაული ჩაიდინა გამარჯვებულმა რეაქციამ. ბარცელონის აჯანყების „ჩაქრობის“ დროს დაატუსაღეს შესანიშნავი საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი ფერერი, გაასამართლეს სამხედრო სასამართლოს წესით და დახვრიტეს.

ისპანია ძველი ინკვიზიციის ქვეყანაა, სადაც კლერიკალიზმი აქამდის სულს ართმევს მთელს ერსა. ამასთანავე არსად არ არის გაბატონებული გლეხთა დამონება მიწათ-მფლობელთა მიერ, როგორც ისპანიის სხვა და სხვა ნაწილებში, როგორც მაგალითად ანდალუზიაში.

ისპანია ამიტომაც ყოველთვის ეგებებოდა დიდ იდეებს, რომლებიც აღმოცენდებოდნენ ხოლმე ევროპის ცხოვრების ნიადაგზედ. ისპანიამ ყველაზედ უფრო გულმხურვალედ მიიღო ინტერნაციონალის სტატუტები, იგი უპირველესი წევრი იყო ინტერნაციონალისა, და სხვათა შორის აკი ამიტომაც სდევნიდენ ისპანიაში ყველაზედ უფრო მუშებსა და საზოგადოდ სოციალისტებს. მე-ოთხმოცე წლებში ანდალუზიაში პოლიციამ შექმნა მთელი სისტემა პროვოკაციისა, დაიპისა ინტერნაციონალის წევრი გლეხები, თითქოს ისინი ყაჩაღთა ბრბოს „შავი ხელის“ (mano negra) წევრები იყვნენ და აწამა იგინი, აწამა ინკვიზიცის წესით, ციხეებშიაც ამოალპო.

1896 წელს მთელს ქვეყანას მოედო მონჯუიჩის ციხეში ანარხისტთა წამების ამბავი. ერთი მათგანი, ტირრიდა დელ-მარმოლი, პოლიტეხნიკუმის დირექტორი, ლონდონში გაიქცა და უამბო მთელს ქვეყნიერებას საშინელებანი ისპანიის მთავრობისაგან და სასამართლოებისაგან მიყენებულ წამებისა. საზოგადოდ ეხლაც არ არის მოსპობილი ისპანიაში წამება და ევროპა პერიოდულად პროტესტს აცხადებს ხოლმე ამ შეუწყნარებელ ბარბაროსობის წინააღმდეგ.

და რასაკვირველია მთავრობა ხეირს არ დააყრიდა ბარცელონის დასამარცხებულთაც სისხლის მრევები დასდგეს სამხედრო სასამართლოებმა. ბევრი მებრძოლი და ბევრი უდანაშაულოც შეეწირა მსხვერპლად მათ სისასტიკესა. მაგრამ ამ მსხვერპლთა შორის ყველაზედ უფრო დიდი დანაკლისი ისპანიისთვის ფერერი იყო.

იგი დაიბადა 1857 ალეტტაში, ბარცელონის ახლოს. მამა მისი უბრალო მებოჭკე იყო. ფერერი მუშაკაცად გაიზარდა, კონდუქტორის ალაგი ეჭირა რკინის გზაზედ. რწმენით იგი რესპუბლიკელთა პარტიას ეკუთვნოდა.

რესპუბლიკელთა პარტია კი ისპანიაში შეიძლება ყველა პარტიებზედ უფრო სიმპატიური პარტია იყოს. ამ პარტიას კარგი განწყობილება ჰქონდა და აქვს ინტერნაციონალთან და კერძოდ ანარხისტებთან. მისი როლი დიდი იყო ისპანიის რევოლიუციაში 1872 წელს. ისინი ფედერალისტები არიან და თვითოეული კუთხის ავტონომიას მოითხოვენ და განსაკუთრებით ისეთ კუთხეების ავტონო-

მიას, რომლებსაც ეროვნული ლიტერატურაც კი აქვსთ, თავისებურ სულის მატარებელნი არიან, როგორც მაგალითად კატალონია. მთელს ისპანიის მოძრაობაში ამ წმინდა ეროვნულ ელემენტს დიდი როლი უთამაშნია და თამაშობს ეხლაც.

ასეთ რესპუბლიკელთა პარტიას ეკუთვნოდა ფერერი.—იგი 1885 წ. პარიზში გადასახლდა, სადაც პატარა ღვინის დუქანი ჰქონდა და გაკვეთილებსაც აძლევდა. იქ გაიცნო მან ისპანელ რესპუბლიკელთა ლიდერი რიუიზ—ზორილა. ამ 17 წლის წინად კი მან გაიცნო ერნესტინა მენიე, შესანიშნავ არხიტექტორის შვილი, რომელმაც ანდერძით 750,000 ფრანკი დასტოვა ისპანიაში თავისუფალ სკოლათა გასახსნელად. ფერერი წავიდა ბარცელონაში და შეუდგა ამ სკოლების ორგანიზაციას.

პირველი ასეთი თავისუფალი სკოლა გახსნა ბარცელონაში 1901 წ. სკოლას სამი განყოფილება ჰქონდა: პირველი იყო საბავშო ბაღი, მეორე პირველ-დასაწყისი სკოლა, მესამე მოზრდილთა სკოლა, სადაც საშუალო კურს დამთავრებულები სწავლობდნენ. რასაკვირველია ანტიკლერიკალური სული ტრიალებდა ამ სკოლებში. აი რას ამბობს ფარერის მეორე ცოლი: (პირველ ცოლს იგი პარიზიდან წამოსვლის დროს გაეყარა), რომელიც ქალების განყოფილებას განაგებდა: „ჩვენი სკოლა უნდა ემსახუროს ახალგაზრდობის განვითარებას და ებრძოლოს რეაქციის დახავსებულ ძალებს. ჩვენ არა გვაქვს არც დოგმატები და არც აპრიორული სისტემა. ჩვენ მხოლოდ ფაქტებით დამტკიცებული დასკვნანი უნდა გვწამდეს, თეორიები, რომლებიც გონებას არ ეწინააღმდეგებიან და ჭეშმარიტებანი, რომელნიც საბუთებზედა და დამტკიცებაზედ ემყარებიან“. სკოლამ დიდი სიმპატია მოიპოვა. ისპანიის სხვა და სხვა კუთხეებში ბევრი დაარსდა ასეთი სკოლა. კლერიკალებმა რასაკვირველია შეიძულეს ფერერი. როდესაც ამ სამი წლის წინად ისპანიის მეფის მოკვლა განიზრახეს, ფერერი დაატუსაღეს, გაასამართლეს, მაგრამ ნაფიცმა მსაჯულებმა გაამართლეს იგი. სკოლები კი დაუხურეს და დღესაც ვერ გამობრუნებულან.

რასაკვირველია სამღვდელოება ეხლა მაინც არ გაუშვებდა ხელიდან თავის დაუძინებელ მტერს და ყოვლის ღონის ძიებას იხმარდა, რომ სამხედრო სასამართლოს მისთვის სიკვდილი მიესაჯა, და აკი მიუსაჯა და მოჰკლა კიდეც.

მოჰკლეს იგი 13 ოქტომბერს (ახალი სტილით). ამაყად შეხვდა სიკვდილს. დახვრეტის წინ სთქვა: „მე უდანაშაულო ვარ, გაუმარჯოს ახალ სკოლასაო“. უბედურების მეხი დაატყდა მთელს მის ოჯახს. მაგრამ ეს რა, მთელი ქვეყანა აღელვდა. აღელვდა პარიზი, ლონდონი, ამერიკა, იტალია, გერმანია, მთელი კულტურული ქვეყანა. ყველგან დაეცნენ ისპანიის საელჩოებს. პარიზში ჩხუბის დროს პოლ. პრეფექტს ლეპინს რევოლვერი ესროლეს, ერთი პოლიციელი მოჰკლეს. ასეთივე ამბავი მოხდა ყველგან. ყველგან იძახიან—გაუმარჯოს რევოლიუციას, გაუმარჯოს ფერერის აზრებს, ძირს ინკვიზიცია და ალფონს მეცამეტეო. უკანასკნელ დეპეშებს ამბავი მოაქვსთ,—ბარსელონაში ყუმბარებს ისვრიან შურის მაძიებელნი, პროკურორი, ფერერის განმტყუნებელი, კი უკვე მოჰკლესო.

ისპანიის რეაქციონერები კი მაინც გაიძახიან,—ჩვენ სახლში რაც გვინდა იმას ვიზამთო.—ესეც არ არის მართალი. მთელი ევროპისგან და ისპანიის საუკეთესო შვილთაგან შერცხვენილი მაურას სამინისტრო გადადგა!

ასე მოჰკლეს ფერერი, ნაწამები და გასამართლებული ინკვიზიტორურად, ადამიანს რომ ყოველს ღონის ძიებას უსპობს თავის გამართლებისას ყალბი დოკუმენტებისა, მოსყიდული მოწმეებისა და ხალხის დაუსწრებლად სადღაც ჯურღმულში საქმის გარჩევის შემწეობით. მაგრამ, როგორც ამბობს ერთი ფრანგის მწერალი, მსოფლიო სინიდისი არ აპატიებს ისპანიის ინკვიზიტორებს საუკეთესო ადამიანის უდანაშაულოდ წამებასა და მოკვლას, თუ ისპანიის კანონმა აპატია, და აკი უკვე იწყება შურის ძიება თუ მსოფლიო სინიდისისა არა, ისპანიისა და ამერიკის სინიდისისა მაინც!

ფერერი მოკვდა თავისუფალ მოაზრედ ისე, როგორც იყო მთელს თავის ცხოვრებაში. მან მღვდელი სიახლოვეს არ მიიკარა.

B.

ჩეზარე ლომბროზო.

გარდაიცვალა შესანიშნავი და ყველასაგან ცნობილი იტალიელი მეცნიერი ჩეზარე ლომბროზო, ტურინის უნივერსიტეტის პროფესორი.

ლომბროზო დაიბადა ვენეციაში 1836 წელს. ახალგაზრდობაში ლომბროზო გატაცებული პატრიოტი იყო და შეთქმულებებში მონაწილეობას იღებდა. დაპატიმრებულიც იყო. ლომბროზოს სპეციალობა პსიხიატრია იყო. ციხეში ლომბროზო მუდამ ჰფიქრობდა დანაშაულის და სასჯელის არსებაზედ და შეიძლება აქ დაებადა მას თავში ეა-

ვისი თეორიები ამ მოვლენათა შესახებ. მას აინტერესებდა ბევრი საკითხი დანაშაულისა, სასჯელისა, იდიოტობისა, გენიოსობისა და ამგვარები, და მთელი თეორიებიც შექმნა ყველა ამ პრობლემათა გადასაწყვეტად. პირველი მისი შრომა კრეტინიზმს შეეხება. 1885 წლიდან მან ბევრი რამ საინტერესო შესძინა მეცნიერებას. 1862 წ მას პსიხიატრიის კათედრა მისცეს პავიის უნივერსიტეტში. აქ იგი დიდის გულ-მოდგინებით სწავლობდა დამნაშავეთა ფიზიკურსა და პსიხიურს ტიპებს და ამტკიცებდა, რომ შესაძლებელია დამნაშავის ბუნების შეტყობა, შეიძლება აგრეთვე შეტყობა თვით იმისი, თუ რომელ დანაშაულების კათეგორიას ეკუთვნის დამნაშავე. ამით მან პირდაპირ საფუძველი დაუდვა კრიმინალურ ანტროპოლოგიას. შემდეგ იგი ტურინის უნივერსიტეტში პროფესორობდა. დანაშაულობის შესახებ ლობროზომ გამოსცა შესანიშნავი წიგნი (L' Uomo delinquento) 1876 წელს (მილანი). მან ამ წიგნში პირველად გაარკვია როლი ანტროპოლოგიურ თვისებათა დამნაშავის ფიზიკურ და ფსიხიურ ორგანიზაციაში. მისი მიმდევარი არის შესანიშნავი სოციალისტი პროფესორი ერრიკო ფერრი (იხ. მისი Sociologia Criminale), რომელიც მარტო წმინდა ანტროპოლოგიური დასკვნებით არ კმაყოფილდება, არამედ სოციალურ მიზეზებსაც უერთებს მათ და ამ გზით იკვლევს მოვლენას დანაშაულობისას. ლომბროზოს თეორიას, რომლის ძალითაც დამნაშავის ბუნებაში მემკვიდრეობით მოიბოვება წინაპართა პსიხო-ფიზიკური თვისებანი,—ძლიერ წინა-აღუდგენ განსაკუთრებით ფრანგი მეცნიერები მანუვრიე და ტარდი. ლომბროზოს გენიოსობის პრობლემაც დიდად ინტერესებოდა. მისი აზრით გენიოსიც ნაყოფი იყო დეგენერაციისა, (L' Uomo di genio და სხ.) გენიოსის ფიზიკური და პსიხიური ორგანიზაციაც იმავე ანორმალური ნიშნებით დახასიათდება ლომბროზოს აზრით, როგორც გიჟისა და დეგენერანტისა. მაგრამ მისივე აზრით, ერთის მხრით გენიოსობასა და კულტურასა და მეორს მხრით პოლიტიკურ თავისუფლების შორის უცვლელი განწყობილებაა. ამაში მას სრულიად ეთანხმება შესანიშნავი მკვლევარი ადამიანის ცხოვრებაში მომქმედ მემკვიდრეობისა და შერჩევის კანონთა ფრანგი მეცნიერი ჟაკობი.

ლომბროზომ პოლიტიკურ დამნაშავეთა შესახებაც დასწერა წიგნი, სადაც ამტკიცებდა, რომ რევოლიუცია ფიზიოლოგიური, ნორმალური მოვლენაა, როგორც ნაყოფი სოციალური ევოლიუციისა, ხოლო აჯანყება პატოლოგიურია, მაგრამ ეს დასკვნა უფრო რევოლიუციისა და აჯანყების უცნაური განსაზღვრისაგან და დაპირდაპირებისაგან არის გამოყვანილი, ვიდრე იგი მეცნიერულია. არავითარი სერიოზული რევოლიუცია არა ყოფილა უაჯანყებოდ და ამ მხრით, ლომბროზოს თვალთა ხედვითვე, ყოველი რევოლიუცია უნდა იყოს პატოლოგიური მოვლენა. ყოველი დიდი აჯანყება მოჰყოლია ხოლმე შედეგად ერთობ სოციალურ ცხოვრების ბუნებრივ ევოლიუციას, და მაშასადამე ყოველი დიდი აჯანყებაც ნორმალური, სოციალურ-ფიზიოლოგიური მოვლენა ყოფილა. ენრიკო ფერრიც, როგორც მისი მიმდევარი, ამასვე იმეორებს თავის წიგნში „თანამედროვე მეცნიერება და სოციალიზმი" (La Scienza moderna e il Socialismo). ლომბროზომ დედაკაცების შესახებაც დასწერა გამოკვლევა, გამოიკვლია დამნაშავე დედაკაცის ტიპი და მისი განსხვავება მამაკაცისაგან.

საზოგადოდ დიდი იყო მეცნიერული მნიშვნელობა ლომბროზოს შრომათა. მან თითქმის საფუძველი დაუდვა კრიმინალურ ანტროპოლოგიას და მთელი სკოლა შექმნა როგორც ანტროპო-სოციოლოგიის მეცნიერთა, ისე სისხლის სამართლის მეცნიერთა, ყველა ქვეყანაში და განსაკუთრებით იტალიაში. ამასთანავე არავის არა ჰყოლია იმდენი მოწინააღმდეგე, არც ანტროპო-სოციოლოგიაში და არც სისხლის სამართლის მეცნიერებაში. ტარდი, ტოპინარი, მონუვრიე, ვაკკარო, მაქს ნორდაუ, და ათასი სხვა, როგორც უცხოეთში, ისე იტალიაშიც მისი სერიოზული მოწინააღმდეგენი იყვნენ. განსაკუთრებით მისი თეორია ატავიზმისა, მემკვიდრეობით დანაშაულობისა, გაატარეს კრიტიკის ქარცეცხლში. მის მიმდევართა და მოწინააღმდეგეთა შორის საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესებზეც დიდი მეცნიერული ტურნირები იმართებოდა. ბევრი უარ-ჰყვეს ლომბროზოს თეორიებიდან, და არც შეიძლებოდა უარ არ ეყოთ, რადგანაც მეცნიერმა მართლაც გადააჭარბა, იგი ძლიერ მცირე მნიშვნელობას აძლევდა ბოლოს და ბოლოს სოციალურ პირობებს დანაშაულებათა წარმოშობაში და თითქმის ყოველ დანაშაულში ატავიზმს ეძებდა. მისთვის დამნაშავეები ბუნებით „იბადებოდნენ" უფრო, ვიდრე განსაზღვრულ სოციალურ პირობებში იქმნებოდნენ და ეს იყო პირველი და უთავრესი შეცდომა მისი.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ევროპამ მაინც ერთი უდიდეს მეცნიერთაგანი დაჰკარგა.

B.

მთის არწივი შამილი.

ისტორიული ამბავი.

ცეცხლის გეენას რომ განიცდიდა შამილი და თავადი ბარიათინსკი კიდევ გულის ძგერით რომ ელოდა, აბა როდის მომივა ამბავი—იმამი მზადაა თავი დაგიკრასო, ამ ისტორიულ ჟამს ასიოდე მიურიდი ტყიან გორაკს ამოჰფარებოდა გუნიბის სიახლოვეს და იყო ასე მიყუჟული. დაინახეს თუ არა მიმალულებმა რუსის მხედრობა, გულმა ვეღარ მოუთმინა და მტერს სეტყვასავით დააყარეს ტყვიაწამალი. ცოცხალი მაინც ხომ ვერ გადურჩებით მზის გულზე მოელვარე ხიშტების ტყესაო, ალბად იფიქრეს სასიკვდილოდ თავგამეტებულ ვაჟკაცებმა, იშიშვლეს ხმალ-ხანჯალი და დაერივნენ გაბოროტებულ მტერსა. რაღა გამოცანაა საჭირო, რომ თვალის დახამხამების უმალ, გაიჟლიტებოდა ეს ერთი მუჭა მიურიდობა. ცოცხალი ერთი მიურიდიც არ გადარჩენილა ამ საოცარ და უმაგალითო ხელჩართულსა.

ამის მნახველ შამილს რიღას იმედი უნდა ჰქონოდა. მის თვალთა წინაშე სანთელსავით დნებოდა მისი ერთგული და მოამაგე გუნდი მიურიდებისა, უკანასკნელი იმედი და სასოება როგორც იმამისა, აგრედვე დაღესტნის თავისუფლებისა.

არწივი იმის არწივია, რომ შორს მჭვრეტელია. ნათლად ხედავდა ბებერი არწივი, რომ ხსნა ერთად ერთი ღა იყო, სრული დამორჩილება, წელში მოხრა და თავის დაკვრა, მაგრამ ის ფიქრი, რომ რუსებს თავი უნდა დავუკრაო, გულს უმღვრევდა შამილს, სულს უშფოთებდა და ელეთ-მელეთსა ჰგვრიდა.

ამაყი მთის ბატონი, იმამი სრულიად დაღესტნისა, ეტყობოდა, რომ ვერ ითვისებდა ამ დამამცირებელ აზრსა. მისი ზვიადი ბუნება ვერ ურიგდებოდა მონობას და ტყვეობას, რასაც ადვილად იტანს მხოლოდ ლაჩარი და სულ მდაბალი და იყო ასეთს ცეცხლის ალში გახვეული.

თავად ბარიათინსკის მოთმინებასაც ბოლო ეღებოდა.—მოსაფიქრებლად საათის ერთს ჩარექს გინიშნავო, შეუთვალა შამილს, ან დამმორჩილდი, ან არა და გაგანადგურებო.

ერთი ვაი-ვაგლახი შეუდგათ გუნიბის სიმაგრეში, თ. ბარიათინსკის მუქარას რომ მოჰკრეს ყური. შამილის ჯალაბის და ციხეში გამომწყვდეულ დედა-კაცთა წივილ-კივილისაგან ყურთა სმენა აღარ იყო. თმა-გაწეწილნი და გონება დაბნეულნი ფეხებში ჩაუცვივდნენ სალს კლდესავით გაქვავებულს იმამს, უკოცნიდნენ კალთებსა და მუხლებს და ემუდარებოდნენ, რომ დამორჩილებოდა რუსებს და პასუხი გაეგზავნა თ. ბარიათინსკისათვის—იყავნ ნება თქვენი, გმორჩილდებიო.

იმ სულის კვეთებას, რასაც განიცდიდა იმამი დაღესტნისა ამ ჟამად, იმ დამწველსა და დამდაგველს ცეცხლს, რომლის ალი სწვავდა შამილს, უმწეო დედა-კაცთა და ბავშვების კვნესა-ტირილს და ვაებას რომ ისმენდა, ვინ ასწერს თუ არ ზეცხებული ღვთიურის მადლით პოეტი! გატყდა შამილი და აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო და რა მოექმედნა. დავმორჩილდე და ხომ სამუდამოდ შევირცხვინე თავიო. განა რას იტყვის მართლმორწმუნე მოსლვმინი, როცა გაიგებს, რომ იმამი დაღესტნისა, ზეცით კურთხეული და მოადგილე დიდის მაჰმადისა ცოცხალი დანებდა „დონღუზებს“ და არ შეაკლა თავი, როგორც განწირულმა ზვარაკმაო. თუ ერთი კიდევ ვსცადო ბედი და შევებრძოლო მტერს ძველებურად—ჩემებურად, ავარულად და ჩაჩნურადო. განა ეს პირველი შემთხვევაა ასეთის გაჭირვებისა, განა ასჯერ და ათასჯერ წინადაც არა ვყოფილვარ გაჭირვებაში, მაგრამ ბედს არ გავუწირივარ. ნუ თუ დღეს დასასრულია ყველაფრისა? მაგრამ, ვსცადო და რაღა პასუხი გავსცე უმწეო დედაკაცებს და ქულფათობას. მე კიდეც რომ გადავრჩე ტყვეობას და მტერს ხელიდან გამოვუსხლტე, გუნიბს რაღა ეშველება, ხომ ძირიან-ფესვიანად ნაღმით დაანგრევენ სოფელს და გაჟლეტენ ყველას, ვისაც-კი მოასწრებენ.

ქართველები რუსებს გვერდში ამოუდგნენ და მხურვალე მონაწილეობა მიიღეს რუსებთან ერთად შამილთან ბრძოლაში. მაშინ იძულებით არ გაჰყავდათ ჯარის-კაცებად ქართველები, თავადი და გლეხი თვისის ნება-ყოფლობით მიისწრაფოდა ჯარში, ზოგი საომრად და სავაჟკაცოდ, ზოგი კიდევ ჩინისა და წარჩინებისათვის. ქართველთა მილიცია, ცხენოსანი თუ ქვეითი, საოცარ გმირობას და ვაჟკაცობას იჩენდა და თვით შამილს არა ერთხელ უთქვამს თურმე, რუსები რომ მესრს გვავლებენ მთიულებს, ეს მესმის და მეყურება, ვინაიდგან ზღაპრულ მგელსავით ხახაში ძვალსავით გავეჩხირეთო, მაგრამ ამ ქართველებს რაღა უნდათ ჩემგან, რად ეხმარებიან რუსებს ასე ერთგულად და რად უჩვენებენ ასე გაბედულად და ოსტატურად მთის გზა-კვალსაო. განა ჩემისა და დაღესტნის წახდენით მაგათ რა შეემატებათ, ან თუ ჰგონიათ, რომ დაღესტნის დამონება დაუბრუნებს მაგათ გამქრალ პოლიტიკურ არსებობასაო. ისე ჩავიდა საფლავს იმამი, რომ ვერ შეიტყო მიზეზი ამ გულსაკლავ საიდუმლოსი და

ვერც გაიგებდა, ძლიერაც რომ სცდილიყო მის გაგებას. ეხლა რომ არა ვართ უხვად დაჯილდოვებულნი პოლიტიკურის გულთამხილაობით, აბა, ამ ორმოცდა ათის და სამოცის წლების წინად ნასახადაც სად მოიპოვებოდა პოლიტიკის სიღრმე-სიგანეში ჩახედული კაცი.

1854 წ. თიბათვის გასულს შამილის მიურიდები იმამის შთაგონებით და ბრძანებით დაეცნენ კახეთს. შილდელები გენერალ თ. დავით ჭავჭავაძის უფროსობით მხნედ დახვდნენ ლეკებს და უკუ აქციეს თავდამსხმელნი, მაგრამ შილდის მეციხოვნეთ ის ველარ მოახერხეს, რომ ს. წინონდალი გადაერჩინათ აკლება-აოხრებისაგან. აკლებას ვიღა ჩიოდა, დიდი სირცხვილი და თავის მოკრა ის იყო, რომ ტყვედ წაიყვანეს გრიბოედოვის ცოლის ძმის გენერალ დავით ჭავჭავაძის ცოლშვილი და ნათესავნი, სტუმრად ამ დროს იქ დამსწრენი, და ვიდრე იმპერატორმა ალექსანდრე II დიდი ფული არ გაუგზავნა ტყვეების დასახსნელად, შამილმა არ გაანთავისუფლა იგინი. ეს ტრაღიკული ეპიზოდი მრავალ კარიან რუსების ომისა დაღესტანთან ცოცხლად აქვს დასურათებული ფრანგის ქალს ადარნასეს, რომელმაც ჭავჭავაძიანთ და ორბელიანთ ქალებთან ერთად იგემა ლეკური ტყვეობა და ლეკურივე ხინკალი. *)

ისტორიული ნესტარი რომ დავკრათ ლეკთაგან ამ გიჟურ მიხტომას და თარეშს, შეიძლება ის ხალასი ჭეშმარიტება შეგვრჩეს ხელში, რომ შამილმა ჯავრი იყარა ქართველებისა იმ უსაზღკრო და ბრმა ერთგულობისთვის, რომელსაც ქართველობა უწევდა რუსის მხედრობას. ხუმრობა ხომ არ იყო, საცა არა გგონია, ყველგან ქართველი უწვრილებდა გულს შამილსა და მის მიურიდებს. თვით გუნიბის არე-მარე კლდეებზე იერიში რომ მიიტანა რუსის ჯარმა და ჯარის კაცნი რომ თოკის კიბეებით, ან ფოფხვით ზემო-ზემო მიდიოდნენ, პირველად ქართველები, სრესული და თურქესტანიშვილი შეეკვედნენ სიმაგრეში და მათის მაგალითით გამხნევებულნი სხვებიც მხნედ და თამამად იწევდნენ წინ. ასეთი თავის გამოდება ქართველისა რუსობისთვის ცოტა არა ჰქონდა ნახული და გაგონილი დაღესტნის იმამს.

სათქმელი ისიკაა, რომ დიდი პოლიტიკური გულთა მხილაობა მაინც და მაინც ვერც მთამ გამოიჩინა. მთელი მეთვრამეტე საუკუნე ისე დასრულდა, რომ ერთი დღე ბედნიერი არ უნახავს ლეკთაგან ქართველობას. რუსობა რომ დაბინავდა ჩვენში, მაშინაც კი თავზე ხელ აღებულნი ბრბონი დაღესტნისა თამამად დათარეშობდნენ ქართლ-კახეთის ველ-მინდორზე და ხშირად იმერეთსაც კი უწევდნენ ხოლმე. გამოდის რომ, როცა შამილმა შეიგნო ძალა ერთობისა და ფრიად საჭიროებდა საქართველოს მეგობრულ განწყობილებას, ცოტა არ იყვეს, დაგვიანებული აღმოჩნდა ასეთი შეგნება, რადგან ჩატეხილ ხიდის გამთელება გაჭირვების დროს არც თუ აგრე ადვილია.

იერიშით აღება გუნიბისა და შამილის დატყვევების ამბავი მოკლედ და მკაფიოდ დასწერა რუსულად ჩვენმა თანამემამულე პოდპოლკოვნიკმა სიმონ ესაძემ. *)

მშვენიერი სანახავი ყოფილა შამილი, გუნიბიდან რომ გამოდიოდა. თან ახლდა მხოლოდ 40 მიურიდი. სახეზე სიკვდილის ფერი ედოვო, ამბობს მეისტორიე ესაძე, მაგრამ მის გაფითრებულ სახეს და იერს მაინც ემჩნეოდა დიადობისა და ზვიადობის ბეჭედიო. გრძელი სქელი წვერი და უმტვერო ქაღალდივით თეთრი ლეჩაქით მობურული დოლბანდი მაღალსა და ახოვან ტანს შამილისას მეტისმეტად უხდებოდაო. ჯარმა რომ თვალი მოჰკრა ამ საოცარ ვაჟკაცს თავი ველარ შეიკავა და ელვაჭექასავით იგრიალა ჩვეულებრივმა „ურამ“. ეს ისაა, ეს ისაოო, გაისმა ჩურჩული ჯართა რაზმების შორის. შამილი შეჰკრთა და უკან გაბრუნება დააპირა. პოლკოვნიკმა ლაზარევმა დაამშვიდა შამილი, ეს ძახილი და გრიალი სიხარულის ნიშანიაო. შამილმა მოითხოვა, თუ ჯარს არ ჩამომაცლით გზიდან, მუსულმანთა რაზმები მაინც მომაცალეთ

*) გენერალი თ. დავით ჭავჭავაძე, ნინო გრიბოედოვის ძმა, შვილია ჩვენის ცნობილის პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძისა და შვილის შვილი გარსევან ჭავჭავაძისა, ქართველ მეფეთა ელჩად რომ იყო პეტერბურგს.

ტყვედ ჩაუვარდა შამილს დავით ჭავჭავაძის ცოლი ანნა ილიას ასული და ცოლის და კნეინა ბარბარე ილიას ასული ორბელიანისა. ტყვეების დასახსნელად შამილმა მილიონი მოითხოვა და უფროსის შვილის ჯამალ-ედინის განთავისუფლება, მაგრამ ბოლოს ორმოც ათას მანათს დასჯერდა. შუა კაცად იყო პოლკოვნიკი ლაზარევი, შემდეგ რუს-ოსმალოს ომიანობის დროს თავი რომ ისახელა. თარჯიმანობდა ლეკურის კარგი მცოდნე გრომოვი, ტომსკი სომეხი. შამილის უფროსი შვილი ჯემალ-ედინი რუსებმა გაანთავისუფლეს ტყვე კნეინების სანაცვლოდ. წარჩინებული თ. ჭავჭავაძის სახლობის დატყვევებამ მაშინდელ პეტერბურგს თავზარი დასცა.

*) ეი სრული სათაური ამ ფრიად საყურადღებო ისტორიულის მონოგრაფიისა: Штурмъ Гуниба и плѣненіе Шамиля. 1859—1909 г. უმთავრესი წყარო და ხელმძღვანელი ამ ისტორიულის ამბისა ესაძის შრომაა და ამის გამო საჭიროდ აღარ მიგვაჩნია ვუჩვენოთ ხოლმე სხოლიოებში, თუ რომელი ცნობა წიგნის რომელ კაბადონიდან ვისესხეთ. ამბავს ვავსებთ ჩვენის საკუთარის ცნობებითაც.

გზის პირიდან, არ მესიამოვნება, ჩემიანები რომ მიკქერიან პირსა და თვალში ამ ჩემის უბედურების და დამცირების დროსაო.

თ. ბარიათინსკის ბანაკს რომ მიუახლოვდა, ცხენიდან ჩამოხდა შამილი და ფეხით გასწია ქვაზე მჯდომ მთავარ-სარდლისკენ და სალამი მისცა. მოწყალებით მიიღო თავადმა ფრთა მოტეხილი არწივი და არ იკადრა იარაღის აყრა და ჩამორთმევა.

მეორე დღეს შამილი და მისი ცოლშვილი პეტერბურგს გაისტუმრა ბარიათინსკიმ და ასეთი დეპეშა გაუგზავნა ალექსანდრე მეორეს: გუნიბი ავიღეთ და შამილი დავატყვევეთ; ხოლო ჯარსაც ლაკონიურად, მიულოცა: კავკასიის ჯარო, შამილი დატყვევებულია; მოგილოცავთ ამ ამბავსაო.

საყურადღებოა ქართველ-თავად-აზნაურობის აღრესი, თავად ბარიათინსკის რომ მიართვეს შამილის დატყვევების გამო.

... საჩაჩნოსა და დაღესტნის დაჭერით და დამშვიდებით, უბრწყინვალესო თავადო, სწერდა ქართველი ბრწყინვალე წოდება, თქვენ აღასრულეთ ვალდებულება, რომელიც იკისრა წინაშე მთელის ქვეყნისა რუსეთმაო... რამდენად მცირე იყო პოლიტიკური გავლენა საქართველოსი ქვეყანაზე, იმდენად ძლიერი იყო საქართველოს ზნეობრივი ძალა და მონაწილეობა კაცობრიობის განვითარებაში. განგებამ დაიფარა საქართველო ათასგვარ ჭირსა და ბოროტებაში, ვითარცა მომფენი ქრისტეანობისა ამიერ-კავკასიის ერთა შორის. საქართველო მარტოდ-მარტო ებრძოდა ისლამის მიმდევართ რამდენიმე საუკუნის განმავლობაშიო.

დღეს თქვენის უკვდავის ღვაწლის მეოხებით აღესრულა წმიდა დანიშნულება საქართველოსი. დაუსრულებელი ომი გათავდა, ტყვედ ჩავარდნილნი ბრუნდებიან თავთავიანთ ოჯახსა და სახლებში. მშვიდობა გამეფდება იქ, სადაც ათასწლობით მიწის მუშაკის თვის იარაღი და გუთანი განუყრელი იყოვო.

პეტერბურგიდან შამილი მალე გამოისტუმრეს და დააბინავეს ქ. კალუგაში, სადაც სცხოვრობდა 1870 წლამდე. ამ წელს შამილმა დაათვალიერა კიევი და შემდეგ გაემგზავრა წმიდა ქალაქ მექქას და იქ გარდაიცვალა 1871 წ. მარტის თვეში, ღრმად მოხუცებული.

ავარიის შუაგულს დაბადებული, სოფლ. გიმრას, მთის სუფთა ჰავით ნაზარდი და მთისავე ანკარა წყაროთივე დავაჟკაცებული, მთის არწივი შამილი, იმამი დაღესტნისა, ეს დაუძინებელი მტერი რუსობისა, განისვენებს არაბეთის უდაბნოს პირზე, ცხელსა და ქვიშით მოწამლულ ჰაერზე.

ასეთი იყო უკუღმართი ბედი ამ საოცარის გმირისა და მთის სულის ჩამდგმელისა მთელი ნახევარ საუკუნე. **ა. ფრონელი.**

(დასასრული ფირველის კარისა).

ვისი ბრალია?

პატარა ოთახში სანთლის შუქი ოდნავ ბჟუტავდა, მის შუქზედ, ოცნებით გატაცებული მარო ჭკუაზედ შეშლილს წააგავდა: თვალებ აპყრობილს მკრთალ სახეზედ ხან მწარე ღიმი უქროდა, ხან კი უეცრად ის ღიმი დაღრეჯილობათ ეცვლებოდა: შემდეგ კანკალით თვალებს ხუჭავდა, თითქოს რაღაცა შიში იპყრობდა და რამდენიმე ხნით ქანდაკებასავით უძრავად ქმნიდა. თეთრ ტან საცმელში გამოწყობილი, საწოლის წინ პაწია ყუთში ათრთოლებული ხელებს ურევდა, თმების მოსართავ ლენტებს ეძებდა და უჩუმრად, განუწყვეტლივ რაღაზედაც ბუტბუტებდა, ზოგჯერ თითქოს ავიწყდებოდა, რასაც ეძებდა; ზეზე დგებოდა და სპეტაკ საწოლს გაფაციცებით ქექავდა, შემდეგ მაგიდას უახლოვდებოდა და იქ მდგომ სურათს მდუღარებით ეეედრებოდა.

დედავ, მშობელო! ბედის საწყეველად რად გამაჩინე? დავიწვი დედავ, შენი ნათელი ძუძუთი გაზრდილი პატარა შვილი არ გებრალები?.. მაშ წავალ დედა, შორიდგან ვნახავ, ოდნავ თვალს მოვკრავ, არ ვანახვებ ამ მწუხარებას, არ შევაბრალებ ჩემი დანახვით საბრალო თავსა. მაშ წავალ დედა, წავალ მშობელო!...

გამწარებული დედის სურათს ეეედრებოდა, თან სანთლით ხელში თვალებ აპყრობილს მდუღარე ცრემლი ედინებოდა. ძის მკრთალ სახეზედ სანთლის შუქი უღონოსავით დაბარბაცებდა და გადმოჩქეფილს მის წმინდა ცრემლებს მარგალიტებრ უბრწყინალებდა.

— დედავ მიშველე, გზა დამილოცე, თავს შემოგევლე!—მიჰმართა სურათს, თან ვით ხატს უცებ გრძნობით ენთხვია, შემდეგ ლენტებით თავი მოირთო, გული ყვავილით მოიქარგა და ბაღისაკენ „მის“ სანახავად ათრთოლებული გამოფრიალდა.

*
* *

ვით ანგელოზი, მშვიდი და წყნარი დაბურულ ხეივანში მაღალ ხეს მიყრდნობოდა, სასოებით აღსავსე თვალები შერხეულ ფოთლებისთვის მიეპყრო და იქაც ჩუმად რაღაზედაც ბუტბუტებდა; იქაც აგრეთვე, როგორც სახლში, სახეზედ ზოგჯერ მრისხანება ეხატებოდა, შეშინებულივით ხან გულზედ ხელს მაგრა იჭერდა და შორიდგან მოსეირნე ხალხს თითქოს ქურდულად თვალს ადევნებდა; შემდეგ დაღლილივით ცოტა ხნით თვალებს ხუჭავდა და ცივ ხეზედ მიყრდნობილი დამფრთხალ შველივით კანკალებდა. ხან კი ისევ დაწყნარებული, პირ მო-

ცინარი ფოთლებს ხელ ახლად აშტერდებოდა და ვარდის ფერ ბაგეს ცმაცუნით ვიღას-რაღასაც შეჰღაღადებდა. მის გარშემო მოსეირნეთა სიცილ კასკასი, ხმა მაღლა მუსაიფი და კამათი განუწყეტლივ მოისმოდა, მაგრამ ის კი, ზოგჯერ თითქოს ვერას ამჩნევდა, გარდა იმ ხისა, რომლისთვისაც ნაზად ხელი შემოეხვია და შორს გაფრენილს გიჟოცნებას მთელი არსებით დასდევნებოდა. უცებ ორკესტრში გრძნობით სავსე, ხელ-მადლიანი სწრიპკის სიმს ვიღაც შეეხო და სამოთხის მგზავსათ შენათებული პატარა ბაღი მოუსვენრობით აავსო: ხეები შეკრთნენ, თითქოს ნაღველით აღჭურვილი შეეერცხლილი მისი ფოთლები თრთოლას და ცახცახს მოჰყვნენ; სველ მიწაზედ ელექტრონის სინათლე, ფოთელთა შორის ოქროს როგოლებივით, თვალ-წარმტაცად აციცუნდა; ბალახებში ყვავილებმა ერთხელ წყნარად ამოიოხრეს და ტკბილ ხმების ტალღებს ნელი რხევით გაეთამაშნენ. დუღდა ჩუმათ შადრევანიც, როგორც ქალწულის წრფელი ცრემლები, ალმასებივით პრიალებდნენ მათი ცვარნი, შორს შეტყორცნილნი. მიყუჩდა ხალხი, სმენად იქცა, მეტი წილი ორკესტრის წინ სულ განაბული. ხან და ხან ახალ-გაზრდათა დაუკავებელი სიცილ-კასკასი შორს, საიდგანღაც გამოკრთოდა, მაგრამ სიმის ხმა იმათ სიცილს თვით იტაცებდა, კასკასებდა დაურიდებლად და ისევ ხარხარს უმალ ისევ ტირილად ქცნიდა. მის ხმაზედ მარო მთლად გაინაბა—„ის ჩემი გულის ხმა არის, გული ხმა მაღლა ქვითინებსო“—წამოიგმინა, ვარდები ერთს წამა ჩამოიგლიჯა და მტირალ ხმებთან თითქოს საშველად განწირულივით უმალ გაქანდა. მიწყნარებულ ხეივნებში როგორც ნიავი ისე მიჰქროდა, მაგრამ ხალხში რომ შეერია, მოკრძალებით ნაბიჯს უკლო და ყველას, ვისაც კი წინ ეფეთებოდა, ცოტა ხნით მათ წინ ჩერდებოდა, თავიდ ფეხამდინ ათვალიერებდა და შემდეგ წყნარი ღიმილით, ბოდიშის მოხდით შორს ეცლებოდა. თეთრად მოსილს, ჰაეროვანი ლეჩაქი თავზედ ნისლივით დაჰქათქათებდა, ცალ ფეხზე თეთრი პატარა „ტუფლი“ ჩაეცვა, ცალზედ კი შავი დავიწყებოდა. განვლო წყნარად ერთი ხეივანი, მეორე უფრო ფეხ აკრებით გამოიარა და, შადრევანის წინ ვიღაც ქალებს თვალი რომ მოჰკრა, უეცრად შესდგა, ერთს მათგანს თვალი ისარივით თვალს გაუყარა, თან უნებურად, ცალი კულული შეისწორა, „რა ლამაზია იმასა ჰგავს-“ო, წამოიგმინა და იმავე გზით დამფრთხალივით უკან გაქანდა. ხესთან მივიდა, თანაგრძნობისთვის ეამბორა, მადლობა უძღვნა,—თან ჩასჩურჩულა—„ვერ დავდგები, ის მჯობია—დავილევიო“ და ამ სიტყვებით ბაღის კარებს გამოსასვლელად წამს მიაშურა. ბაღის კარებში სიმის ხმა მოსწვდა—თითქოს დაღლილი მას დარჩენას ევედრებოდა, მაგრამ ქალწული ცოტა ხნით შესდგა—„შენ აქ იკვნესე, ყურს გიგდებენ ეს ხეებიო“, ამით მიჰმართა დატოვებულ ხმას და ქალაქ გარედ დიდ ხეივის პირად, როგორც ნიავი გამოსრიალდა. იქ, ხეივის პირად ქვაზედ ჩამოჯდა, თავი მწუხარემ გვერდზედ მიდრიკა და მშვიდ მიდამოს ჩაფიქრებულმა დიდხანს უმზირა. ბოლოს წარმოსთქვა ჩუმად და წყნარად:—„ვისი ბრალია, როცა ისა მჯობს, ის ლამაზია და თვალ წარმტაცი! განა ლამაზი ყველას არ გვიყვარს?.. იქნებ მეც თვითონ მასზედ ლამაზი წინ რომ შემყოდა—აქამდინ ის კიდეც დამვიწყებოდა. განა ეს გრძნობა როგორც ზღვის ტალღა ფართო არ არის და თავისუფალი?.. რა სულელი ვარ, რისთვისა ვსტირი? განა ეს ტანჯვა, როს დრო გაივლის და გამქვალული ეს ჩემი გული, კვლავ განკურნდება, სიცილ-კასკასად მტანჯველი გრძნობა არ შემცირდება?.. მაშ რაღად ვსტირი... რად ვიტანჯები, რა დამემართა?!!.

ამ დროს ნიავმა წამოუბერა, არე მარე რაღაც ჩურჩულით შეახმაურა და ხეივის პირად ობოლი ბუჩქი თითქოს ტკივილით ააწრიპინა... მარომ შეხედა—სიბნელეში თავს აქნევდა ბუჩქი მტირალი და შეეკითხა:—შე საცოდავო, შენ რაღას სტირი! რად გევსება შურის ნაღველით გული მწუხარე; შენც ვინმე გიყვარს, არ თანაგიგრძნობს, იტანჯები განა, საბრალო? სუ! არ იტირო, არ აჩვენო ცრემლი სიმწარის, არ მოიხარო, არც ოდნავად, ეგ შენი თავი, თორემ დაგცინებს, თუ არა და შებრალებით თვით მიწასთან გაგასწორებს და მაშინ არც აქ და არც საიქიოს მოსვენებას ვეღარ ნახავ, შე უბედურო!

შენა, სალო კლდევ! დაღონებით რად იცქირები? იქნებ შენც გიყვარს, შენს პირდაპირ ამოსული ნაზი ყვავილი? დასცინის, განა მშვენებით სავსე, მაგ შენსა გრძნობას და შენ კი ისევ ჩუმი მუდარით მაგას ღა უმზერ? რა სულელი ხარ! სადა გაქვს ჭკუა? ან კი რად გინდა, შე საბრალო, მაგისი ტრფობა, როცა მოკლე აქვს მას დღეები და სურნელობა? მხოლოდ ერთხელ კი დაგიმშვენებს მაგ შენს გულ მკერდსა, მხოლოდ ერთხელ კი შეგიხუთავს სურნელობით მაგ დიად სულსა, შემდეგ მოსწყდება, მზის ჩასვლამდე, საცოდავო, განაბავს სულსა და დაგიჭკნება. მერე რას იზამ? შხამზედ შხამი დაგერთვება, შე უბედურო, წუთი სოფელი გაგიმწარდება, ცეცხლად გექცევა შენი აწმყო და წარსულიცა.

— ერთი წამისთვის მთელ სიცოცხლეს მას ვანაცვალებ, ერთი წამისთვის თვით ჯოჯოხეთს დავისაკუთრებ, ოღონდ კი ჩემს გულს, ჩამობნელებულს, თუ გინდ უნებლივ, მისმა ღიმმა შემოაშუქოს.

— რა სულელი ხარ! აღარას გეტყვი, რადგან, ნავთს მისხავ, შე უღმერთო, ცეცხლზედ მწუხარეს და ამისათვის აღარას გისმენ, აღარც გიცქერი, დეე, იტანჯე, რა მენაღვლება, ეგრე ამოგძვრეს, გაუგონარო, სული მწუხარე.

შენა, ვარსკვლავო! შენ რას ციმციმებ, რასა ბჟუტავ ნამტირალევ მაგ ნაზ თვალებსა? გული გეტანჯვის, რომ ბრწყინვალე მთვარე ამოვა და თვისი შუქით ცაზედ მოგსპობს, პაწია ვარსკვლავს? უბედური ხარ, რომ უჩინველად უმალ ჩაქრები მრავალთა შორის და ხსენებაც კი არ დარჩება, მაგ ტანჯვის შემდეგ. ეგრე იტანჯე, ეგ ვაგლახი შენი ხვედრია; თუ კი გაუძლებ, მძლავრი იქნები, თუ არა და რაღასა ნაღვლობ? სამაგიეროდ სიკვდილისგან ჯილდოთ გვირგვინი დაგეხურება. სუ, არ იტირო, არც მე ვიტირებ, გეფიცები აღარის დროსა! ან რად ვიტირო, დეე, მიფლითოს სევდამ მწარემ ნაკუწებათ გული ტანჯული, დეე თითო წვეთი ჩემი სისხლისა შხამისა ალმა ამიშიშხინოს, უმალ გააქროს, მაინც არ ვსტირი და არც ვიტირებ! ვისი ბრალია რომ არ შემქმნა იმ განგებამ უსამართლომ მზედ ბრწყინვალეთა, ვ-სი ბრალია როცა არა მაქვს ისეთი ძალა, რომ პირქვე დავცე ჩემი მტანჯველი, გულს გენია წაუკიდო, მწარედ დავდაგო და ვათაყვანო.

ვისი ბრალია, რომ ყველა მე მჯობს? ან კი რას ვიზამ, როცა ჭაობის უშნო ჭილი ყვავილთა შორის ამოსული ვარ, ან რა ძნელია? ძნელი ის არის, როცა ყვავილი ჭაობში ობლად ამოსულია. მაშ არ ვიტირებ! კასკასში გავცვლი ჩემ ცხარე ცრემლებს, თუ დამცინიან, მე სასაცილოს, თვით მე დავცინი ჩემს ვაგლახ თავსა, მეც გავიცინებ, სიცილ ხარხარით დავაყრუებ მთელ დედა მიწას; ვიცინებ მწარედ, ვიცინი, სანამ უკანასკნელად სუნთქვას შევიძლებ და შემდეგ კი.... მაგრამ რა შემდეგ?.. დეე ვიტანჯო, თუ კი ღირსი ვარ; ვისი ბრალია, როცა ეს ტანჯვა ყველა უღონოს მწარე ხვედრია. ვისი ბრალია... ვისი ბრალია??!! ხა, ხა, ხა, ხა.... გადიხარხარა ქვითინის ხმაზედ და იმ სიცილით შეშინებული თავს დამალა—სადღაც გავარდა.

ცქვიტი.

მეგობრებს.

როცა ჰყინავს, როცა ცივა,
და შავ ბნელათ მთვარე სცურავს;
როს ფოთლები ხეებს სცვივა,
მთელ სამყაროს ნისლი ჰბურავს;

* *
*

როცა ჭოტი მწარედ ჰკივს,
სთვლემს ზღვის ტალღა... ძილში გრგვინავს
და ჭიატი მზისა სხივის [ნავს
ნისლს შთაუნთქავს... აღარ ბრწყინავ!;

* *
*

როცა სევდა მწვავ ფიქრთ-კრებას
გულს ჩააქსოვს... შეაქუჩებს!
ყვავი იწყობს ყვავილთ-კრეფას,
ეკონება ვარდის ტუჩებს!

* *
*

მეგობრებო! თუ თქვენ ამ დროს,
შესაზარს ~~და~~ სამწუხაროს,
ხმა მოგესმაო გულ საკლავი,—

იცოდეთ, რომ ~~ბანგებს მწარეს~~
~~ჭგოდებს... აფრქვევს~~ ცრემლებს ცხარეს
ჩემი სატრფო—სალოცავი!..

ი. გრიშაშვილი.

---

*
* *

რა საბრალოა, რა ცუდი,
რომ ვარდი ყვაკსა ეტრფოდეს,
ეწადოს მასთან სიცოცხლე,
წადილით ვერა ძღებოდეს;
არ კი იცოდეს ბეჩავმა,
რა ძალიანა სცდებოდეს...
ნუ კი მენახოს: საჯიჯგნათ
ყვავი მაზედა ჯდებოდეს
და ვარდი მწარე ცრემლითა
კვნესოდეს, იმდუღრებოდეს!

ი. მჭედლიშვილი

მელია-სერეფენია.

IV

აგერ შორს, შორს მოსჩანს, მინდვრის ბოლოზე ბარდიან-დიწიანი ჭალა, იქაც აუარებელი ხოხობი იცის. მოიგონა იქ ნადირობაც, ერთმა მამალმა ხოხობმა რამდენი სტანჯა და აწვალა ისა და მისი დედა.

სწორედ მსხვარად აიგდო ი სიქორემ .. ჯავარ ქალის ხრიკებმა ხოხობთან ვერ გასწერა, თავადაც ოსტატი ვინმე ბრძანებულა. მის დედას კინადამ თავის ხელით ეული გამოაწერეინა.

მთვარიანი დამე იყო. ერთს უსურვაზით შემოსილს მუხის ბინცვერზე მამალი ხოხობი შეიგულეს. როცა ხოხობს ახსენებდა ჯავარ-ქალი თხილის ტოლა ნერწყვის ჭყლაპავდა, სერეფენიასაც, რა თქმა უნდა, პირში ნერწყვი მოსდიოდა. „უნდა ვეცადო, ძალიან ვეცადო, ეგები ხელში ვიგდოთ“, ამბობდა ჯავარ-ქალი, „მაგრამ ძალიან უშმაკია. ერთის შეტი ხოხობი ჩემ სიცოცხლეში ჯერ არ მინადირნია, თუმცა ბევრჯელა ვცდიდავარ. ერთხელ ვინადირე ვარიეკ ხოხობი, მაგრამ ისიც გამოუცდელი იყო, თამაშობით ვცდინე“. სწორედ ამ დაპირკეში იყვნენ დედა და შვილი, რომ შორი ახლოს ჯერ ფრთების ბღარტუნი მოისმოდა, თან მოჰყვა ხოხობის ზრიალ-ზრიალი. „ოჰო“, წარმოსთქვა ჯავარ-ქალმა: „ესეც ხოხობი, ვნახოთ რა იქნება. შენ, შვილიკო, ხმასაც ნუ ამოიღებ, ჭკვიანად იყავი, ნურც ავს იტყვი, ნურც კარგს. ვეცდები მე მარტოკა, რაც იქნება—იქნება. ჯავარ ქალი მიეცუცქა მუხის ძირში და გამარჯვებაო, შეუძახა ხოხობს. კაშკაშა მოვარე იდგა. „ულოო“, ჩამოსძახა მალალიან და ალმაცერად გადმოჰხედა მელას, თანაც კისერი მოხდენით ჩამოძახა. ჯავარ-ქალმა ჯერ ხოტბა, ქება-დადება შეასხა ლექსად:

ლამაზო, როგორ მიეგარხარ
ვით გამოიტყვის ენაო?!...
შენის ულე-ყურის ჭირიმე
ეგრე რამ დაგამშვენაო;
შენს ორგულს და მტერს
უფალმა დიდა ნუ გაუთენაო.
როგორ გიხდება ნავარდი
მალალიდგან დაბლა ფრენაო!..
ვერ ვძღები შენის ცქერითა
შენ გენაცვალე, შენაო...

„ოჰოო,“ წარმოსთქვა ხოხობმა და გაიკვირვა.

— არ მენდობი? არა გჯერა ჩემი სიტყვები? ეუბნებოდა ჯავარ ქალი: შენ გაგიგონია მელები ხოსბების მტრები არიანო. სულ ტყუილია. განა ყველა ერთია. მე შენ შეგჭამო? შენისთანა ტურფა და ლამაზი? ვაი! წავწყდე მაშინ, წავწყდე და დავიკარგო სულით და ხორცით. პირ-იქაო, მე მინდა დაგნათესავდე, შვილი მოგანათვლინო, შენ კი, შე კაი კაცო, რაღასაც ეჭვიანობ. ემისმა გაზდამ არ გეხუმრები“. სოქვა ჯავარ-ქალმა და თან თავზე ოთი დაჭკრა სერეფენიას.

ხოხობი მხოლოდ იცინოდა, რომ სიქმე გაუჭირა ბოლოს უოხრა: „წადი, რა გაყწყობა, მდგელსა და დიაკვანს დაუძახე, მე არსად გავიქცევი. აქა ვარ. ჯავარ ქალი ბევრს არწმუნებდა, რომ მდგელ-დიაკვნის მოსვლა დაგვიანდებოდა, ისინი კი ერთად ჩქარა მიიარბენდნენ, მაგრამ, არ იქნა, ვერ გასწერა მელიას რჩევამ და ხრიკებმა, ხოხობი მხოლოდ ცბიერად გადმოჰხედავდა და წაიდუდუნებდა: „ულოო, ოჰო, ჰმ!.. ჩემი ჯიჯია გნებავს, ქალბატონო, ვერ მოკართვით. სეზე ამობრძანდი, აქ მელაბარაკეო“.

ჯავარ-ქალი მაინც არ აშლიდა, ხან შეხტებოდა, ცხვირ წინ კუდს გაუოამაშებდა, რა არის იქნება კუდს ჩამოჭეეესო, მაგრამ აბა! ხოხობი მხოლოდ სეირითა სტკბებოდა. .

განთიადმაც მოატანა, გაჭმორდნენ ხოხობს გულდაწყვეტით. ცდამ მაინც და მაინც ტეულად არ ჩაუარათ: ერთი კურდღლის ბაკია ინადირეს და სუფრაზე შეექცნენ. ეჭ, წავიდა, გაჭკრა ის დრო, დრო სანეტარო. გაჭკრა, მაგრამ სერეფენია იმ დროს მოგონებით ხომ სტკბებოდა!

V

ერთი უსიამოვნება შეემთხვა სერეფენიას: ზემოთ აღნიშნულის ფიქრების შემდეგ სოროსკენ გასწია, მოუნდა მამა-პაპეული ბინის ნახვა, და როგორც კი შეეო თავი სოროში, შიგნიდან ღრენა შემოესმა; სერეფენია შეკრთა და უკან დაიხია. ორმა ცეცხლივით მოპრიალე თვალებმა შეაკრთო იგი; დიდი, ულვაშ-გრძელი, ცხვირ-გრძელი, კუდ-ბუოქვი ხვადი მელა დაბანაკებულიყო იმის სრასხლში. ახალი სოროს პატრონი კაწურა, კაგულისა და რიხიანის ხმით შემოუტია სერეფენის: „ვინა ხარ, ეი, დაუკითხავად სად შოაფლაშენებ, ძმობილო?! ოჯახის პატრონს მაინც აღარ იკითხავ, ბრიყვო, უზრდელო?!“ მაგრამ როცა დაინახა სერეფენია და კარგად დაუცქერდა, შეტის-შეტად მოეწონა; მოეწონა მისი ტანის მიმოხვრა,—თვალ-წარბი, კოხტა კუდი, მბზინავი, მოშავფრო ბეწვი, პატარა კოხტა ფეხები. „მობრძანდით ქალო, მობრძანდით, რა გაეწყობა, თუმცა ოჯახში მწყიდროობაა, მაგრამ სტუმარი ღვთისაა, სტუმარი ჯერ როსტომელას კარებიდან არ გამოუბრუნებია“.

სერეფენიამ უკან დაიხია, სოროს კარებზე დადგა. ტანში ერუანტელი უვლიდა, ბრაზი მოუვიდა.

— მე რომ ვინაობას მკითხავ, შენ ვინდა ბრძანდები, ვაუბატონო, ვის სახლიდან ვის ითხოვ? დამეკარგე

მანდედან, შე არამზადავ, შე ავაზაკო შენა, ამბობდა გარისხებული სერეფენია: კარგია თქვენმა მზემ! ჩემი სახლიდან მე მითხოვს და მერე ვითომ ზრდილობასაც იჩენს—მეპატიჟება თავისთან. ნეტა ვინა ბრძანდება. გამეეთერ მანდედან ჩქარა, მორჩი, თორემ მთელ სამყაროს თავზე დაგცემ. ჩქარა, სახლი უნდა დავალაგო!.. მოშორდი მანდედან—მეთქი!.. შორს, შორს!...

„რად მიწერები ქალო-ჯან, თქვენი სახლია? დმერთმა მშვიდობაში მოგახმაროსთ. მე ხომ სამუდამოდ არ დავდგები აქ; შე დალოცვილო, თოვლ შხაპი იყო, პატარა ხან თავი შეგავარე. კედლები არ შამიჭამია, ჭერი და ბოძები. მე ვაჟკაცი ვარ, ნუ თუ არ გაგიგონია სახელოვანი როსტომელა? აბა, სწორედ მე გახლავარ ისა. შაურტხვეს იმ ვაჟკაცს ულვაში, ვინაც დედაკაცის დაწოკვება იკადროს!.. მობრძანდით, ქალ-ბატონო, მობრძანდით! სოროს კი არა თუ ენებავთ თქვენის გულისათვის თავიც მოვიკლა? შუა ხნის კაცი ვარ, მთელი სამყლეთი მიცნობს და ერთიც ვერ იტყვის ჩემს ურიგობის, ერთი მომდურავიც არა მყავს და ნუ თუ ეხლა, დღეს, შენისთანა ტურფა, შვენიერი ანგელოზივით წყნარი და ნაზი გოგონა შემოვიმდურო? მოვკვდე, დმერთმა ნუ მატოცხლოს ერთი დღე“. როსტომელა უკვე კარებზე იდგა და მწერმეტყველობდა.

— შენ გიშველა დმერთმა. მეც ადარაფერს გეტყვი. ბოლომდე სამუსიანი გამოთოს.—მიუგო პასუხად სერეფენიამ.

„შენ, ტურფავ და ლამაზო“, განაგრძო კვალად როსტომელამ: „მე ეხლავე მოგშორდები. სახლ-კარიცა მაქვს და ცხოვრებაც აუარებელი, საფერო არავისთან რა მაქვს, ხოლო, როგორც გამოცდილი კაცი, ჩემს თავს მოკალელა ვსთვლი, გითხრა ჩემი სათქმელი, შენი გამოსადეგი. შენ, ჩემო კარგო, ჯერ სულ ახალგაზდა, გულ-უბრეკელო, გამოუცდელი ბრძანდები, უპატრონოდ, უამხანაგოდ ეოფნა ხელს არ მოგცემს, აბა კარგად იფიქრე; ათასი ავაზაკი, ბოროტი ხალხი დაიარება დედა-მიწაზე და, ვინ იცის, რა უბედურებას შეგამთხვევენ?! ეგრე არ არის? აბა კარგად იფიქრე. მიკვირს, ან აქამდის რაით გაძღურჩი ბოროტ ადამიანებს!... შენთვის ხელმძღვანელია საჭირო.

— მერე ვინ უნდა იყოს ჩემი ხელმძღვანელი? დაეკითხა სერეფენია: მე ჩემად გახლავარ თავის თავის ხელმძღვანელი, სხვისი ხელმძღვანელობა და ლალობა ჩემთვის საჭირო არ გახლავთ. ან რომელ ხელმძღვანელობაზე ბრძანებთ, არ შეიძლება სთქვათ?

„ჭმ! წაიდუდუნა როსტომელამ:“ ვაი, ვაი, როგორ გამოუცდელი ბაუა ხარ ჯერ კიდევ. მაშ პატრონი არ გინდა? მომეღელი და ეურის მგდებელი? შენ რა შეგიძლიან? ხომ გტაცა ვინც უნდა ხელი და წაგათრია თავისთან.

— აბა, ვინც კაი ბიჭია და გაგბედავს. ისე გაუსადო სქმე, რომ კარში გამოსავალი დაუდგეთ. ჩემს უნებურად ხელი მტაცოს, ავსუს სერეფენია ქალო! „დამშვიდდა“, განაგრძო ხვალმა მელამ: „დამშვიდდი, ეური დამიგდე, მე შენზე ბევრად გამოცდილი ვარ, ხომ მუდამ სასარგებლოსაც ვერ იშოვი, იმას რა სჯობია ჩემთან ერთად იცხოვრო. მე პირდაპირ თქმა მიყვარს, ისე შეგინახო, როგორც ჩემი ორივე თვალები, დაბრძანდ კერძის რბილს ლეიბზე, მოიკეცო მშვენიერად და მოგდიოდეს მზა მზარეულად საჭმელი და სასმელი. არ თუ შაში ვისამე გქონდეს, არც რიდი. მე შენი მონა, მორჩილი, ეურ მოჭრილი მონა ვიქნები. სთქვა რა ეს, როსტომელა მხართეძოზე შემოწვა, ცალი თითი თავ-ქვეშ ამოიდო, თანაც ცბიერის თვალებით აკვირდებოდა სერეფენიას სახის გამომეტყველებას. „ეგელაფერში წერა მუშობს“, დაჯდეშარიტა როსტომელამ.

— რასა სჩმახავ, შე გადაურეებულო? რის წერა, რა წერა? შენ ცოლად გამოგეყვე, შენთან ცხოვებერდე, ეხლაც კი მეზიზღები რომ თვალითა გხედავ.

„ტეეელ-ე, ღვთის მადლმა“: სთქვა როსტომელამ და თანაც გაიღიმა: რად გეჯავრები, ჯერ ხომ არ გიცნიავარ, შე დალოცვილო?! შერე. თუ წერა არ არი, რამ მომიყვანა ამ შენს სახლში და შემახვედრა შენს თავსა? აბა კარგად იფიქრე. პირველ დანახვაზედვე მომეწონე, გულით შემიყვარდი; კაი დრო გაქვს ამ ჩემის თანაგრძნობით ისარგებლო. ერთი პირი ცოლ-შვილი დამეხოცა, მეც ობლად ვარ მიტოვებული ამ წუთისოფელში. მარტოკას ბევრჯელ მიტირნია, როცა კი მომგონებია წარსული ბედნიერება: სთქვა რა ეს, როსტომელამ თითით თვალებიდან ცრემლები წაიწმინდა: „ეაეხ, რა უდროოდ დრამ მიდალატა ბედმა და დამჩაგრა დმერთმა. შენ თუ ეწშლება ჩემს დაწყლულებულს გულს, სხვა არავინ. ამბობდა წუწუნით როსტომელა.

— ერიჭაა, შენ ადარც კი ჭნუშრობ? კაი ამბავია?! მე სახლიდგან მითხოვ და შენ ცოლად გამომეყო, იმას მეუბნები ძალიან საცინელი ამბავია და ძალიან საკვირველი. ნეტავი გარეშე მაინც ვინმე გვიგდებდეს ეურს, რამდენს იცინებდა და! საცინელი რა არ არის: ხვეშურს შინ არ უმვებდენ და ის კი გაიძახოდა: ფარ-ხმალი ზემო თარეს დამიკიდეთო! ე მანდედან დაშეკარგე, თორემ მე ვიცი რა ცოლადაც გამოგეკეი, შე წეწეანო, შე გადაურეებულო შენა! მოშორდი აქედან თორემ, არ ვიცი, რას ვიზამ. მართლა ოხერი კი ნუ გგონიავრ? ამბობდა გაცხარებული სერეფენია.

„მაბძანდი ქალ ბატონო, ე მანდ შენ, ე მანდ შენი სახლი, დავშავე: ერთი დამე გვათია შენ სახლში, ერთი ორი ქართული გითხარი, მომატყვე, ხომ არ დამარჩობ?.. დმერთს ასე სწულად, უბედურად დაეწერა ჩემთვის ეოფნა, მეც ასე უნდა ვიეო, მოვითმინო. ეეხეტები უბე-

ღურად და ვნახოთ თუ შენ ღმერთი სელს მოგამართავს და რამე ხეირს შეუერ.ბა. აიუს როსტომელავ, რომ შენისთანეებიც მწუხრიდენ, დრო შამარტხვა, დრო! მშვიდობითა ბრძანდებოდეთ, ღმერთმა სელი მოგიმართოს, გაგაბედნიეროს.. რაც გაწყენინე, გახმეორებითა გთხოვ, შეშინდე, მოშიტევე. დაუკრა სერეფენიას თავი როსტომელამ და გაეშზადა წასასვლელად: „იქნება ერთმანერთი გელარც კი ვნახოთ, მოვკვდე სადმე ოხრად, მოშიგონე მაინც შენის მშობლების გარათლებს და შენ-დობა შეშოშითვალე. მშვიდობით, მშვიდობით! მიაძახა როსტომელამ ისეთის გადაწრილის კილოთი, თითქოს სამზღვარ კარეთ, ცხრა მთის იქით მიეშგზავრებოდა...

ვაჟა-ფშაველა.

(შემდეგი იქნება).

თეატრი.

არ იქნა და არ გველირსა, რომ ოდესმე გვენახა უნაკლულო ქართული წარმოდგენა. ხან არტისტები კოპლობენ, ხან რეჟისსორი არ უვარგათ, ხან როლები არ იციან, ხან ისეთს ვისმე გამოაჭრუნებენ სცენაზედ რომ სულ მოსწამლავს შთაბეჭდილებას, ხან კიდევ ვინ იცის რა ემართებათ. სრული დეზოგრგანიზაცია თეატრის საქმისა რასაკვირველია ასეთს ნაყოფს გამოიღებს.

აი, წარსულ კვირას, 11 ოქტომბერს, მაგალითად, რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზედ „ღალატის“ წარმოდგენამ: საუკეთოოდ თამაშობდენ ზეინაბი და ოთარ ბეგი. მეორე ხომ გამოცდილი არტისტია და მეტია იმაზედ ლაპარაკი. მხოლოდ კი ვიტყვით, მესამე მოქმედებაში რომ მან ზეინაბთან აღსარების დროს მომენტი გაატარა, არასოდეს არ გვინახავს ისე რომ გაეტარებიოს,—ისე საუკეთოოდ, მართლაც წარმტაცად. ზეინაბი კი მგონია ეს მესამედ თამაშობს ამ როლსა და უკვე დიდი პროგრესსი ეტყობა. იგი ჩვენი სცენის დამამშვენებელია და ისიც დაგვრჩენია სამწუხაროდ, რომ მიდის, ობლად სტოვებს ჩვენს სცენასა.

მაგრამ ანსაბლი კი ღმერთმა შეინახოს. ჯერ დათოს უშნო თამაშმა მოგვაბეზრა თავი ყველას. ამ დალოცვილს, თავისი როლები აქვს, რომელთაც იგი გვარიანად ასრულებს, და რათ გამოდის ისეთ როლებში რომელთა აღსრულება მას არ შეუძლია.

ირაკლიც სუსტობდა ძლიერ, თუმცა წინანდელზედ უკეთ თამაშობდა; ესეც კი უნდა ვსთქვა, რომ ეს როლი ძლიერ ძნელია და არასოდეს ქართულ სცენაზედ მისი კარგად მოთამაშე არ გვინახავს.

ბესომ სწორედ კარგად დაიწყო, ნამდვილი ქართველი გლეხის ტიპი იყო, მაგრამ ბოლოს ძლიერ უსუსტა და სიმღერა კი სულ გააფუჭა. ესეც რეჟისსორის ბრალია, პირდაპირ ეტყობოდა, რომ არაუერი არა ესწავლებია რა.

სულეიმანმა ისეთივე შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც წინად,—საშუალო. მას კიდევ ბევრი მუშაობა სჭირდება, სანამ ამ როლს დასძლევდეს სავსებით.

რუქაია კი უფრო თანამედროვე ევროპიულ აატეხტო ქალაქის საყვარელს თამაშობდა, ვიდრე გამოქნილ, აღმოსავლეთელ ვნეპიანსა და ცბიერს გაიძვერა მხევალს.

კიდევ არა უშავდა რა ერთობ არტისტებს, რომ მართლაც არა ჩვეულებრივი დეზორგანიზაცია არა ყოფილიყო სცენაზედ. მესამე მოქმედებაში, საიდუმლოთა განმეღავნების დროს, როცა ამბობდნენ აქ არავინაო, იქვე სცენაზედ პირდაპირ დადიოდნენ და დამალვას ვერ ახერხებდნენ ირაკლი და დათო; საღოცავად წასვლის დროსაც, ვინც არ უნდა ყოფილიყო ის იყო ატუზული სცენის ბოლოში. მეოთხე მოქმედებაში დარაჯებმა წასვლა ვერ მოახერხეს ოთარ-ბეგისა და ზეინაბის შემოსვლის დროს, სანამ ოთარ-ბეგმა ძალით არ გაყარა!

ამას კიდევ ზედ დაერთო თურმე კრანის მოშლა, რომლის გულისთვისაც წარმოდგენა $^1/_2$ საათით გვიან დაიწყო.

ყოველივე ეს რასაკვირველია გულს უხდენს მსახიობებს, ახელებს მსმენელთ და უკარგავს შთაბეჭდილებას. პირდაპირ, თვალ-ნათლივ სჩანდა, რომ არა თუ რეჟისსორის ხელს არავითარი მონაწილეობა არ მიეღო მსახიობთა გაწრთვნაში, არამედ მგონი, რეპეტიციებიც არა ყოფილა, თორემ შეუძლებელია ასეთი დაულაგებელი შესვლა-გამოსვლა მსახიობთა „ღალატში“, რომელიც ათასჯერ წარმოუდგენიათ.

გარდა ამისა ფასებიც დიდი იყო და ბევრი დაბრუნდა ამის გამო.

საჭიროა ყურადღება მიექცეს ყოველივე ამას, თორემ მალე ისევ დაცალიერდება ქართული თეატრი.

B.

ერის უფლება.

VI.

უმაღრესელს ეოვლისა სოციალისტ ინტერნაციონალისტთა შეკრებამ მით გამოიხატა, რომ სრულიად ადვილად გაიგეს თვით იდეა ინტერნაციონალიზმისა. მათ ესმოდათ ინტერნაციონალიზმი, როგორც კაცობრობის ერთ დიდ სოციალურ სხეულად გადადგულება. მათი რწმენაა კაპიტალიზმი მთელს კაცობრიობას მოედებოდა, მოსპობდა ერთა შორის განსხვავებას, ეკონომიურად ჭიმოგენურ მასად გადაქცევდა მასა და შემდეგ, როცა ეს მსოფლიო კაპიტალიზმი დაიდუბებოდა თავის შინაგან წინააღმდეგობის ძალით, მის ნანგრევებზედ აღმოცენდებოდა ახალი მსოფლიო საზოგადოება, სოციალისტური, საკაცობრიო საზოგადოება. ეს იქმნებოდა განხორციელება ინტერნაციონალისა, თანამედროვე ცხოვრებაში კი მომავალი სოციალიზმის მატარებელი კლასი, პროლეტარიატი, ეროვნებათა განურჩევლად უნდა შეკავშირებულიყო და შეექმნა საერთაშორისო „ინტერნაციონალური“ მოძრაობა მომავალ ინტერნაციონალის განსახორციელებლად.

ეს აზრი თავიდან ბოლომდის ეკლია, დიდი სოციოლოგიური ეშაფოდაყია, რომელიც კრიტიკას ვერ უძლებს: მართალია კაპიტალიზმი ქვეყანას ედება, მაგრამ ორ რამეს ვამჩნევთ ერთა ცხოვრებაში; ჯერ ერთი იმ მოვლენას, რომ კაპიტალიზმი სრულიად ვერა სპობს ერებს, თუ ძალით, ხმლითა და ტეტხლით არ ამოსწევიტა იგინი რომელიმე სახელმწიფომ. პირიქით, კაპიტალიზმის შესვლის დროს იღვიძებს ეროვნული კულტურა, ერის ცხოვრება ორგანიულ მთლიანობას იღებს, და თუ განსაზღვრული ერი სხვა ერს ემსგავსება ბევრ რამეში, სამაგიეროდ მისი მთლიანი ინდივიდუალიზაცია უფრო თვალსაჩინო ხდება. იღვიძებს ეროვნული თვით შეგნება, და თუ ერი დამონებულია—განთავისუფლებისაკენ მიისწრაფვის, თხოულობს **თანასწორ უფლებას** სხვა დიდ ერებთან ერთად. მეორე მოვლენა ის არის, რომ კაპიტალიზმის მსვლელობა არა ჭქმნის ერთ საკაცობრიო მოწესრიგებას ეკონომიურ საგნისასაც კი, არამედ არსებობს მოწესრიგება ეროვნული, სახელმწიფოებრივი, და მსოლოდ ამ ერთა და სახელმწიფოთა ურთიერთ განწყობილებათა სფერაშია შესაძლებელი საერთაშორისო მოწესრიგება. საკაცობრიო მოწესრიგება არ არის გარეშე საერთაშორისო მოწესრიგებისა, საერთაშორისო მოწესრიგება კი არ შეიძლება გარეშე სოციალურ ინდივიდთა, ერთა და სახელმწიფოთა. ესე ეოველი კი პირდაპირ ჭრიცხავს კაცობრიობის, როგორც ერთს სოციალურ ორგანიზმს, და ამიტომაც ინტერნაციონალი სრულიად ის არ არის, რაც სოციალისტებს ეგონათ—ერთი უნივერსალური სახელმწიფო, ან ერი, არამედ კავშირი ერთა და სახელმწიფოთა შორის. მომავალი სოციალიზმი ვერ მოსპობს ცალკე სოციალურ ინდივიდებს, არამედ შინაგანი ორგანიზაცია ამ ინდივიდებისა შეიცვლება, ხოლო გარეგანი თვისებაა ეკავშირი კიდევ უფრო განვითარებულ სოციალურ ინდივიდთა გამოიხატება მომავალ **საერთაშორისო** ცხოვრებითა.

მეორე დიდი შეცდომა ინტერნაციონალისტებისა ის იყო, რომ მათ უმთავრესი შემაკავშირებელი ძალა საზოგადოებაში ეკონომიური ინტერესი ეგონათ. მათი აზრით ოვალა ქვეყნის პროლეტარებს ურთიერთს შორის მეტი კავშირი აქვსთ, ვიდრე ერთი ერს სხვა და სხვა კლასებს. ამიტომაც მათთვის ეროვნული მოძრაობა ერთი კლასის მოგონილ ან საზარგებლო მოვლენად მიიჩნდათ,—ბურჟუაზიულად, ან ფეოდალურად. ამით სრულიად უარჰყოფდენ ისინი ერის ცხოვრების ორგანიულ ხასიათსა, და რასკვირველია თვით ფაქტებმა და ეროვნულმა მოძრაობამ მთელის მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში გაამტყუნა მათი ასეთი შეხედულება საზოგადოებათა ცხოვრებაზედ. ეკონომიური ცხოვრება მხოლოდ ერთი ნაწილია ერის ორგანიულ ცხოვრებისა, ერის ცხოვრება მთლიანია და ორგანიული. და მიუხედავად შინაგან სოციალურ წინააღმდეგობისა მისი მოწინააღმდეგე ნაწილებიც ვერასოდეს ვერ დაშცილდებიან ერთმანეთს, პირიქით — თვით შინაგანი სოციალური გარდაქმნაც საერთო ძალით, ან ერთი — ერთის წინააღმდეგ ბრძოლით უნდა მოახდინონ. თვითოეული პროლეტარიატი ეკუთვნის თავის ერს, და თუ მას სოლიდარული კავშირი აქვს ეკონომიურ ნიადაგზედ სხვა ერის პროლეტარიატთან, სამაგიეროდ მთელს ერთან ათასნაირი ისეთი ორგანიული კავშირი აქვს, რომლის გაწყვეტა ადვილი არ შეიძლება, თუ თვით ერის ორგანიზაცია არ მოსპეს და არ გაანიე ქვეყანაზედ მისი შემადგენელი ნაწილები. ამ შემთხვევაშიაც კი მეტი ნაწილი კავშირთა მაინც რჩება მათ შორის.

მართალია, ინტერნაციონალისტებმა თავიდანვე ალიარეს, რომ თვითოეული პროლეტარიატი უნდა ეცადოს სოციალური რევოლიუციის მოხდენას თავის საკუთარ სახელმწიფოში, მართალია ერის ორგანიულ ცხოვრების ბევრ დარგში.—კანონმდებლობაში და ათას გვარ დაწესებულებაში ისინი აქტივურ მონაწილეობას აღიარებდნენ და კიდეც იღებენ ასეთს მონაწილეობას, მაგრამ ზემოხსენებული ადგილი იდეები მათ ნებას არ აძლევდა შეეშუშავებინათ ნათლად და გარკვევით თეორია ინტერნაციონალიზმისა, განესაზღვრათ ერი, აღიარებათ ერის უფლება და ამით თავიანთ მოქმედებაში საშინელ წინააღმდეგობას არ შეჩეხებოდნენ ხოლმე ათასქმის ეგვლა ქვეყანაში, ეგვლგან,—შეაგვრელ ერთა ცხოვრებანი

შიაც და მეტადრე ჩაგრულ ერთა ცხოვრებაში. რამდენჯერ დამართნიათ ეროვნად გულ-წრფელ სოციალისტ ინტერნაციონალისტებსაც კი, რომ „ნაციონალისტურად“ მოუნათლავთ სრულიად კანონიერი მისწრაფება ერისა **უფლების მოპოვებისადმი**, თვითონ კი ამით ნამდვილ შოვინისტებად გამოსულან, რადგანაც დაუცვამთ ინტერესი დიდი ერისა და ამით დიდ ერთა „ნაციონალისტებად“ გამოსულან ძალა-უნებურად! ასე მოხდება ხოლმე ეროვნულთვის, როცა არ არის კარგად განსაზღვრული არც ის ცნება, რომლისთვისაც იბრძვი და არც ის, რომელსაც ებრძვი. ინტერნაციონალისტებს კი აბსოლუტურ არ განუსაზღვრავთ არც ერი, არც ნაციონალიზმი და არც ინტერნაციონალიზმი, არც უფლება ერისა და არც მომავალი საერთაშორისო სამართალი ისე, როგორც ეს საერთაშორისო სამართლის მეცნიერებმა შეასრულეს სახელმწიფოს შესახებ.

მხოლოდ შემდეგ მიაქციეს ამ საკანს ყურადღება და ახლა რამოდენიმე უკიდურეს ინტერნაციონალისტთა კარდა, ჩვენს მსგავს სოციალისტთა გარდა, თითქმის ყველა დამოუკიდებელი მოაზრე სოციალისტი აღიარებს ერის უფლებას; რაც შეეხება კი პარტიებს, ჯერ იგინი შორს არიან ნამდვილი მეცნიერული ანგარიში გაუწიონ ამ საკითხს. აქა იქ თუ შეგხვდებათ დიტერატურაში ორიოდე გამოკვლევა „ეროვნული საკითხის“ შესახებ, როგორც მაკალითად შპრინგერის და ოტტო ბაუერისა, მაგრამ იქაც ძველი შიში „შოვინიზმისა“ და „ნაციონალიზმისა“ თავს დისტრიალებს მკვლევარს, იქაც ვერ არის სწორის სიმართლით განსაზღვრული ყველა ის ცნებანი, რომელნიც შეეხებიან ერსა, საერთაშორისოსა და სამართალსა.

ადვილი გასაგებია ამიტომ, თუ რაო იყო ხოლმე თვით დიდ ინტერნაციონალისტთა მოქმედებანი და ნადაბარაგევი ადსავსენი წინააღმდეგობითა და ორეროვნებითა.

1847 წელს ენგელსი და მარქსი ლონდონში იყვნენ და დაესწრნენ იმ მიტინგს, რომელზედაც დაბარაკობდნენ ბოლონეთის შესახებ. იგონებდნენ ბოლონეთის 1830 წლის რევოლიუციას. თვით მარქსი, ენგელსი და ყველა ქვეყნის სოციალისტები ამ მიტინგზედ ერთმანეთის სოლიდარობას უცხადებდნენ და ყველა აღიარებდა ბოლონეთის თავისუფლებას. მარქსის აზრით ბოლონეთი ინგლისის დემოკრატიამ უნდა გაანთავისუფლოსო, როდესაც ჩარტისტთა გამარჯვება იქმნება გამარჯვება მთელი ქვეყნის დემოკრატიისა და ამით ბოლონეთიც თავისუფალი გახდებაო. ენგელსის“ აზრით ბოლონეთის განთავისუფლებაში მთელი გერმანიის ხალხიც დაინტერესებულია, ამასვე ამბობდა მთელი მაშინდელი „ინტერნაციონალი“, რომელიც არ აანსებობდა ამ სახელით, მაგრამ რომელიც შეგვ ფაქტიურად იბადებოდა. (K. Marx et F. Engels. Le Manifeste Communiste, traduction par Charles Andler, Appendice).

ეხლა მოიგონეთ, რამდენი დავა და კამათი გამოუვლია გერმანიის, ავსტრიის და რუსეთის სოციალდემოკრატებს არა თუ ბოლონეთის თავისუფლების შესახებ, არამედ ბოლონეთის ავტონომიის შესახებაც. ამ მოკლე წერილში ჩვენ ყველა ამ დავას დიტერატურაში თუ კონგრესებზედ ვერ ჩამოგოვლიო, ამას მთელი წიგნი დასჭირდებოდა. მხოლოდ ფაქტია, რომ **არც ერთი სოციალისტური პარტია არ აღიარებს დღეს პოლონეთის თავისუფლებას, მაშასადამე პოლონეთის ერის სრულ უფლებას.** თვით ავტონომიაც კი ორეროვანდა და იერუატურად არის აღიარებული. ყოველი მათი ეროვნული მოძრაობა, ყოველი ეროვნული სულის კვეთება, ლაბარაკი და სხვ. ბურჟუაზიულად ინათლება სოციალისტთა მიერ და ის კი არ იციან, რომ ამით ხელს უწყობენ გერმანიისა და რუსეთის კაცი ჭამია ნაციონალისტებსა და იმპერიალისტებს. სად არის აქ აღიარება ერის უფლებისა ისე, როგორც ეს მოეთხოვებაო ნამდვილ **ინტერნაციონალისტებს?!**

მოიგონეთ ბაკუნინის მოქმედება სლავიანთა განთავისუფლებისათვის 1848 წელს, და მარქსის აღელვება ამ ვე სლავიანთა წინააღმდეგ 1848—1849 წლებში, მისი დაცინვა, მისი მოდალმა თითქმის ზიზღი, არა თუ მათი უფლების აღიარება. მოიგონეთ ბაკუნინის კალაშქრება მაძანის წინააღმდეგ როცა მ. ძანი იტალიის თავისუფლებისთვის იბრძოდა, აგრეთვე იმავე მარქსის დასასოებება ებრაელებისა, რომელთა ეროვნება მარქსისათვის მხოლოდ ეკონომიური ეგოიზმია და სხვა არაფერი. მაგრამ იგივე მარქსი აღიარებდა ბოლონეთის თავისუფლებას და ბაკუნინი სლავიანებისას!.. ანტისემიტიზმი, სლავიანოფილობა, სლავიანოფობობა,—არცერთის ამისაგან არ იყვნენ უოდველნი დიდი ინტერნაციონალისტები. რაც შეეხება ახლა, აქ ხომ ძველადაც და შემდეგაც საშანელი წინააღმდეგნი იყვნენ სოციალისტები ახლის „უკულტურო ერთა“ და „ევროპის კულტურის“ დაცვის სურვილით იმართებოდნენ თავსა.

მაგრამ დრონი იცვალნენ. ეროვნულმა იდეამ მათ შორისაც ნახა ნიადაგი. სინამდვილემ და სამართალმა სამართალმა თავისი გაიტანა. სოციალისტთა შორისაც ასტუდა დავა ერის უფლების შესახებ განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც ეროვნებანი უფრო ჩაგრულნი იყვნენ — ავსტრიაში, რუსეთში, გერმანიაში.

1897 წელს ავსტრიის სოციალ—დემოკრატიის მეექვსე კონგრესზედ აღდგერმა ბირდაბირ განცხადა: „უკანასკნელ წლებში მუშებმა ძალიერ შეატვალეს აზრი ინტერნაციონალიზმის შესახებ. მესამოცე წლებში ინტერნაციონალიზმი ნიშნავდა ეროვნების უარ-ყოფას,—**თითქოს ადამიანს შეუძლია უარ-ჰყოს თავისი ისტო-**

რია, თავისი ეროვნული ინდივიდუალობა, თითქოს შესაძლებელი იყოს კაცობრიობის განყენებულ ცნებაში ჩაფვლა! ეს იყო მხოლოდ ძველი ბურჟუაზიული ჰუმანიზმი და კოსმოპოლიტიზმი (კურსივი ჩვენია). ახლა ავსტრიაში საკითხი ასეა დაყენებული: როგორ შეიძლება შეერთებული თანამშრომლობა და ბრძოლა, რომ **ერთმა ერმა მეორე არ დასჩაგროს?**" (კურს. ჩვენია). ეს ბრობლემა სოციალ-დემოკრატიამ უნდა გადასწყვიტოსო, ამბობს ადლერი. როდესაც ჩვენმა ამხანაგმა დაშინსკიმ პარლამენტში დაიძახა, — „მე ბოლონელი ვარ და სოციალ-დემოკრატიო", ყველას გაუკვირდაო!

1896 წელს „Arbeiter Zeitung-ში" პირდაპირ იყო ადიარებული ერი როგორც ბუნებრივი ფაქტი და ს.-დ—ები ანიჭებდენ მას უფლებას თავისუფალი განვითარებისას.—მაგრამ ეს რასკვირველია არ არის კიდევ ერის უფლების განსაზღვრა და ადიარება.

ავსტრიის სოციალ-დემოკრატმა პერნერსტორფერმა პირდაპირ განაცხადა, — მე გერმანელი ნაციონალისტი ვარ, მაგრამ სხვა ერთა უფლებასაც ადვიარებო, ჩვენი გზა ნაციონალიზმიდან მხეცობამდე კი არ მიდის, არამედ მხეცობიდან ნაციონალიზმამდეო.

1894 წელს ნორვეგიელმა მუშებმა თავის ბოლიტიკურ პროგრამმაში ნორვეგიის დამოუკიდებლობა შეიტანეს.

ფლამანდელმა დეპუტატმა დესვარტმა 1898 წელს მოითხოვა ფლამანდურისა და ფრანგულ ენათა სწორ-უფლებიანობა.

ჰამბურგის კონგრესზედ 1897 წელს ფვანკუხი სოციალისტ-ინტერნაციონალისტი კი არა, ნამდვილი გერმანელი შოვინისტი აღმოჩნდა: მან განაცხადა, რომ იგი ვერ იცნობს ვერავითარ ბოლონელ ამხანაგებს გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში. დიბენეხტმა შეასწორა მისი განცხადება, ადბად ფვანკუხის განცხადებას მისი აზრითაც არავითარი „სიერთაშორისო" არა ჰქონდა რა.

ბებელმა ენერგიულად ადიარა დინელების **ენის თავისუფლება** ჩრდილოეთ შლეზვიგში.

კაუტკი, რომელიც წინად ეროვნულ იდეას ადიარებდა წმინდა ბურჟუაზიულად, რომლისთვისაც ერი მხოლოდ ეკონომიური განვითარების ნაყოფი იყო, უკვე თავის სტატიებში ავსტრიელ ერთა შესახებ (1897) ადიარებს ავსტრიის ერთა არა თუ ადმინისტრატიულს, არამედ ეროვნულ ავტონომიასაც. წინად კი იგი პატრერებს გაქრობასაც კი უწინასწარმეტყველებდა. (Масарикъ, философскія и соціологическія основы Марксизма).

ძველ შორს წაგვიყვანდა ყველა ასეთი ფაქტების ჩამოთვლა. საშინელი იყო იდეური რეკვა ეროვნების შესახებ სოციალისტთა შორის ზემოხსენებულ მიზეზთა გამო. მათი მოელი ყურადღება მიქცეული იყო სოციალურ ცხოვრების შინაგან გარდაქმნაზედ, განსაკუთრებით ეკონომიურ ცხოვრების გარდაქმნაზედ, და ამიტომაც სოციალისტებმა თვით მეცნიერებაშიაც ვერა შეიტანეს რა ერის რასისა და ენის წარმოშობისა და განვითარების შესახებ. ვერ შეიგნეს და ვერ დაიფარეს ეროვნული იდეა. ეს უკანასკნელი საკითხები უფრო კარგად გამოიკვლიეს სწორედ იმ ნაციონალისტებმა, რომელთაც სოციალისტები ბურჟუებად ნათლავდნენ, როგორც მაგალითად ჩეხებმა კვალიჩეკმა და პალაცკიმ, და სხვებმა. ამ მხრით რუსეთის სოციალისტებისთანა ეოდენად უვიცნი და აზრით საპყარნი მოელს დედამიწის ზურგზედ არავინ მოიპოვება. სოციალ-დემოკრატების ეროვნული პროგრამმაც კი კრიტიკას ვერ უძლებს, არამც თუ მეცნიერულად არ უკვლევია არც საგანი ერისა, არც მისი იდეა, არც მისი უფლება,—არც საზოგადოდ და არც კერძოდ რუსეთში. რუსეთის ეროვნული პროგრამმა ისეთ კაცთაგან არის შედგენილი, რომელთაც არაფერი არა გაეგებათ რა რუსეთის არც ერთის უცხო ერისა, და რა გასაკვირველია, რომ თვითონ კონგრესებზედ რუსის სოციალ-დემოკრატებსა და სხვებსაც ისეთი რამეები ელაპარაკნათ და ეწერათ, რაიცა სერიოზულ ადამიანს სიცილს მოჰკვრის.—თუმცა კი რუსეთის ერთა მიერ თავიანთ უფლებებზედ ეკირიდმა ცოტათი მოსდრიკა ს. დ—ების გული და მცირე ნაბიჯი გადაადგმევინა ერის უფლების ადიარებისაკენ.

ეოველ შემთხვევაში, მესამოცე წლებთან შედარებით სოციალისტურმა ინტერნაციონალიზმმა დიდი ნაბიჯი გადასდგა ერის უფლების ადიარების მხრით. თუ წინად მარქსი ჩეხებს დაინძღვავდა და მოამკვდავ ხალხად ჩვრცხდა, კაუტკი მათ კულტურულ ხალხად ადიარებს და ადმინისტრატიულს და ეროვნულ ავტონომიას ანიჭებს. ერთობ ავსტრიის სოციალ-დემოკრატია ადიარებს ეროვნულ უფლებათა. მან აბრძოლა და აბრძვის კიდეც მათ მოსაპოვებლად. თუ წინად კროპოტკინი ორჭოფად ადიარებდა ერის უფლებასა და ამბობდა: „ეროვნული საკითხი შეიძლება დასვადეთ ევროპის მუშებს სასულელად მოეჩვენოსთ, რადგანაც არ იციან უცხოელის ბატონობის სუსხი. არ იციან რა არის, როდესაც უშლიან მათ ზნე-ჩვეულებას, არ განიცდიან ბატონის ამაყობას, მისი ეროვნული ხასიათის განსხვავებას, მის ზიზღს დაპერობილობაში. მაგრამ მათთვის, ვინც განიცდა ეს მონობა, **ეროვნული დამოუკიდებლობა ყველა სხვა საკითხზე წინა სდგას** (კურს. ჩვენ.). კლეხი უერთდება მებატონეს საერთო სიძულვილში, ავიწყდება რა, რომ მისი თანამშრომელი ისეთივე სასტიკი იქნება ბატონობის დროს, როგორც უცხოელი. მას სძაგს უცხოელი, რადგანაც მისი ეოველისფერი ეზიზღება, მისი დაპარაკი, მისი მიხვრა-მოხვრა, ნაბი მოპურობა დაპურობილობაში

დაბერობილ ერში პროგრესია, წინმსვლელობა. თვით შოსანსენში ისეობა. უფურეთ სერბიას: იქ არ იყო სოციალური საკითხი, სანამ ოსმალო ბატონობდა. ოსმ ლოს გაგდების შემდეგ კი სოციალური საკითხი მეისვე ადმოცენდა. ადამარკეთ სოციალიზმზედ ირლანდიელს, მაშინვე გიპასუხებენ: „ჯერ ინგლისელი გავაგდოთ“. **იგი სცდება, რასაკვირველია სცდება, მაგრამ ეროვნული სიძულვილი უბნელებს გონებას** (კურსივი ჩვენია). ამისთანაგე ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა ერთი ვრცელი მოწმეობაა პატრიოტებისა, უცხოთა ხელიდან განთავისუფლებისთვის განცდილი. ჩვენ დღეს ადტაციაში მოგვაგონო რუსეთის ახალ-გაზრდობას, მის თავგანწირულებას განცვიფრებით ვუყურებთ, ვგლოვთ მ ს ტანჯვათა, მაკრამ ვიცოდეთ, რომ მათი ტანჯვა არაფერია იმ ტანჯვასთან შედარებით, რომელიც განიცადეს სალიდულო საზოგადოებამ „ახალგაზრდა უნგრეთისა“, „ახალგაზრდა პოლონეთისა“, „ახალგაზრდა იტალიისა“ განსაკუთრებით,—სადაც ბურჟუა და მუშა ერთად მოქმედებდნენ, ერთი იდეით გატაცებულნი, საშშობლოს განთავისუფლებლად“. (Un siècle d'attente). მაკრამ არა, ათასჯერ არა, **ორლანდიელი არა სცდება**, ეს კროპოტკინმაც კარგად იცის, მაკრამ რა უნდა უყოს იმ ულბ იდეას ინტერნაციონალიზმისას, რომელსაც ასე მისწვეია ევროპის სოციალიზმი! მაკრამ თვით კროპოტკინმაც დიდი ნაბიჯი გადასდგა ამ სტრ ქონთა დაწერის შემდეგ. ამ ორი წლის წინად, როცა ჭერვე გაიძახოდა —სულ ერთია საფრანგეთში რუსუბლიკანური ფრანგული მთავრობა იქმნება თუ მონარხიული გერმანულია,—კროპოტკინმა განაცხადა,—სამოცდა ორი წელი მაწევს ზურგზედ, მაკრამ თოფს ავიდებ და საფრანგეთის რესპუბლიკას დავიცავ უცხო მტრისაგანაო! ამისთვის მას ულბი ინტერნაციონალისტები აუკაცხანენ, მაკრამ კროპოტკინი ერთობ გულ-წრფელი, გონიერი და ნამდვილი ინტერნ ციონალისტია, რომ სისთვის დაეგლოთ რამე ჭერვესთანა მეგორალა ინტერნაციონალისტებს! დღეს არსად ადარ ბატონობს ისეთი იდეა ინტერნაციონალიზმისა, როგორც მესამოცე წლებში იყო, შეიძლება გარდა რუსეთისა. დღეს საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესებზედ სწორ. უფლებიანობით არის მოსილი ყოველი ერის პარტიის წარმომადგენელი, თუ კი რომელიმე ერის მუშათა კლასს ერთგული თავმოყვარეობა აქვს და საკუთარ სოციალისტურ პარტიას შეადგენს და არ მიეტმანნეს დამონებულ ერის პარტიას, როგორც ეს ქართველებმა ჩაიდინეს. დღეს სოციალისტთა მიერ ვრცელი გამოკვლევები იწერება ერისა და მის უფლებათა შესახებ,—როგორც მაგალითად შპრინგერისა (Національная проблема) და ოტო ბაუერისა (Національный вопросъ и Соціал-демократія [1]).

მაგრამ არც ერთს სოციალისტურ პარტიას, არც ერთს მკვლევარს არ დაუსახავს ეროვნული იდეის განვითარება, როგორც სახელმწიფო იდეის საწინააღმდეგო განვითარება,—ერის სუვერენიტეტი, როგორც სამაგიერო სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და მომავალში კანონიერად მისი ადგილის ღამჭერი. მხოლოდ ამ თვალთ-საზრისით კი შეიძლება აღიარება ერის უფლებისა,—ნამდვილი აღიარება და არა ბლატონიური და ორეზოფი. მხოლოდ ამ თვალთ-საზრისით შეიძლება აგრეთვე აღიარება ერთა შორის თანასწორობისა, განურჩევლად დიდთა და პატარა ერთა, როგორც საერთაშორისო სამართალმა აღიარა თანასწორობა სახელმწიფოთა, დიდთა და პატარათა განურჩევლად სოციალისტებმა ვერ შექმნეს სწავლა ინტერნაციონალიზმისა სრულიად, და მხოლოდ სახელი აქვსთ ინტერნაციონალისტებისა. და ან კი როგორ შეეძლოთ ამ სწავლის შექმნა, როცა ინტერნაციონალიზმი გულისხმობს ერსა, ამ უკანასკნელის არსება და უფლება, ერის სუვერენიტეტზედ და თანასწორობაზედ დამყარებული საერთაშორისო სამართალი კი მათი კვლევის საერიოზულ და უპირველეს საგნად არასოდეს არა ყოფილა. მარტო „სოლიდარობაზედ“ დაპარაკი, მთელი ქვეყნის პროლეტართა შეერთებისათვის მოწოდება და კაპიტალიზმის საქვეყნოდ გადაქცევის აღნიშნა კი სრულიადაც არ მოასწავებს „ინტერნაციონალიზმისა“ სწავლა-მოძღვრების შექმნას. ამ მხრით თანამედროვე სახელმწიფოთა შორისო სამართლის ექსპერიმენტი მიუწდომლად მადა სდგას სოციალისტთა საერთაშორისო სწავლა-მოძღვრებაზედ. მიუხედავად ამისა, გინვიმეორებთ, სოციალისტებმაც წარსდგეს წინ დიდი ნაბიჯი. თუ წინად კანტ-კუნტად იკვლევდნენ მეცნიერები ერსა და მის უფლებას, აქცევდნენ რა ეურადღებას საზოგადოებრივ აზრსა და თვით ერთა განთავისუფლებას ფაქტს, დღეს სოციალისტებიც იძულებულნი არიან მშრალი კოსმოპოლიტიზმით აღარ გამოუხადონ თავი ადარც დიდ ერთა პროლეტარებს და განსაკუთრებით ადარც ჩაგრულ ერთა მშრომელ კლასებს, იძულებულნი არიან ანგარიში გუწიონ ერთა მოძრაობას, საზოგადოებრივ აზრს, და სერიოზულად იკვლიონ ერი, მისი არსება და მისი უფლება, ურომლისოდაც შეუძლებელია შექმნა ინტერნაციონალიზმის სწავლა მოძღვრებისა. ახლა მომავალში სოციალისტები, ჩვენის ფიქრით, კიდევ უფრო იქნებიან იძულებულნი მთლად ერთიანად გადასინჯონ „ეროვნული“ და „საერთაშორისო„ თეორიები.

Báton.

[1]) ამ წერილში ჩვენ ამ წიგნების ანალიზს არ შევუდგებით, სხვა დროისთვის გადავდევით. ძლიერ საინტერესო კია.

გამომცემელი მიხ. ჯავახიშვილი.